

# საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.  
შაბათი, 2 მაისი, 2015 წელი.  
№80 (7725)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

## ირაკლი ღარიბაშვილმა თავდასხვის, გარემოს დაცვისა და სპორტის მინისტრები (უპრეზიდენტოდ!) დანიშნა!

სამივე ბრძანება ინდივიდუალურადაა გამოცემული და ის 1 მაისით თარიღდება. ბრძანებაში პრემიერი განმარტავს, რომ თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად, გიგლა აგულაშვილის – გარემოს დაცვის მინისტრად და ტარიელ ხეჩიკაშვილის სპორტის მინისტრად დანიშნა საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე განახორციელა.



## მთავრობის აღმინისტრაციის სინანული

მშვენიერ პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მთავრობის აღმინისტრაცია განცხადებას ავრცელებს, რომელშიც განმარტავს, რომ მთავრობის შემადგენლობის პარლამენტში წარდგენის ერთი კვირით გადავადდება „ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაში გარკვეულ უხერხულობას“ ქმნის. „დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, გვინდა, მოგაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: მიუხედავად იმისა, რომ მინისტრების დანიშვნა პრემიერ-მინისტრის ექსკლუზიური უფლებაა, ახალი კანდიდატების წარდგენამდე ირაკლი ღარიბაშვილმა კონსულტაციები გაიარა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან. ბუნებრივია, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებაა, მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობა პარლამენტს ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს. საქართველოს მთავრობა ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას, თუმცა, რადგან პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ხელახალი ნდობა ჯერ ვერ გამოუცხადა, ეს ქმნის გარკვეულ უხერხულობას ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც სულ რამდენიმე დღეში 13 მაისს, მთავრობამ თბილისში EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს. 21-22 მაისს ტარდება რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, რისი მოსამზადებელი ვიზიტები სწორედ მომავალ კვირას არის დაგეგმილი: ვიცე-პრემიერი გიორგი კვიციანიშვილი ბრიუსელში მიემგზავრება; ვიცე-პრემიერი კახა კალაძე – გერმანიაში; იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი – საფრანგეთში, ბელგიაში და ესტონეთში; დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი – თურქეთში; საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუაშვილი – გერმანიაში, ბელგიაში, თურქეთსა და სლოვაკეთში; ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური – აზერბაიჯანში; შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური – გერმანიაში; სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, დავით ბაქრაძე – ესპანეთსა და დანიაში; საქართველოს პრემიერ-მინისტრს მომავალი კვირიდან დაგეგმილი აქვს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები აშშ-ის სენატის დელეგაციასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრე-

ზიდენტთან, EBRD-ის პრეზიდენტთან, გერმანიის ბუნდესტაგის წევრებთან, ატლანტიკური საბჭოს დელეგაციასთან, ასევე პრემიერი გახსნის EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრას, რომელსაც 60-ზე მეტი მაღალი რანგის სტუმარი და 2 ათასზე მეტი ბიზნესმენი დაესწრება. ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის საქმეა, თბილისში აღმოსავლეთი უმასპინძლოს ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, როგორც არის EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრა, რომელმაც საქართველოს კონკრეტული შედეგები უნდა მოუტანოს. მთავრობა ასევე ემზადება რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის და სწორედ ამ ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობდა პრემიერ-მინისტრის მიმართვა, ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურების დაჩქარებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გარემოებების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჯერ კიდევ 29 აპრილს ისაუბრა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურების დაჩქარების თხოვნით მიმართა. საგულთხეობა, რომ აღნიშნული გარემოებები მისაღები იყო საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის – ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის და ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებისთვის და, წინასწარი კონსულტაციების შედეგად, ისინი მზად იყვნენ, მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადება შაბათს, 2 მაისს დაგეგმილ რიგგარეშე სესიაზე მომხდარიყო. ასევე აღსანიშნავია, რომ წინასწარი კომუნიკაცია იყო მთავრობის აღმინისტრაციასა და პრეზიდენტის აღმინისტრაციას შორის. კომუნიკაცია შედგა პრემიერსა და პრეზიდენტს შორისაც. დასანანი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა ჩამოთვლილი ობიექტური გარემოებები, რითაც პროცესი ტექნიკურად შეფერხდა და ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა ერთი კვირით გადაიდო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიცია, მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობასთან დაკავშირებით, სრულიად ჩამოყალიბებულია და მთავრობა მზად არის, ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა მაქსიმალურად მოკლე ვადებში დასრულდეს“, – ნათქვამია მთავრობის აღმინისტრაციის განცხადებაში.

## წყალი: გვერდის და პერ პიყენებლად? 4

საქართველოს ევროპისთვის წელიწადში 15 მილიონი კუბური მეტრი სასმელი წყლის მიწოდება თავისუფლად შეუძლია.

## პეიჯაქაღს საპიტხაში


„კოსოვოს ნიშნის“  
ესა ონიანის საყარო

რა ითქვა ჩვენზე 6  
ბელგიის პარლამენტში 7

ბოლო 12 წელიწადში მოსახლეობა თითქმის 15%-ით შემცირდა 4

## ღლის ამოჯაზურიდან

– მგრის ღაზაფერა თუ გვინდოდა, ვერ სათუნა გოგორი შეილი გვეცადა თავდაცვის მინისტრად, ბევრად უფრო თავზარდამცემი გამოხედვა აქვს.





ინფორმაცია

ინსტიტუციური რეფორმის საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცეს



პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სასჯელალსრულების სისტემის ინსტიტუციურ რეფორმას ითვალისწინებს.

ნიმუშური პარტიის წევრები

ქვეყანაში დაკარგა სუვერენიტეტი, იმართება გარეგანი და მთავრობა კომპლექტდება იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება სხვა სახელმწიფოს და არა - საქართველოს, - ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ სამთავრობო ცვლილებების შეფასებისას განაცხადა.



საქართველომ სუთი მილიონი დოლარის ბრანტი მიიღო

რეგიონებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესებისთვის საქართველომ 5 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტი მიიღო, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს.

„სითი პარკის“ გამო კახა კუკავა, ბექან გუნავა და ირაკლი თოდრია დააკავეს



თბილისში, წერეთლის გამზირზე, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, ბექან გუნავა და აქციის მონაწილე ირაკლი თოდრია დააკავეს.

საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის, როგორც საქვეყნებო დანუსებულების გაუქმება და მისი პენიტენციური დეპარტამენტად გარდაქმნა წარმოადგენს, რომელიც სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდება.

რეფორმის შედეგად ახლებურად მოხდება კადრების დაკომპლექტება და შერჩევა, ასევე სპეციალური სასწავლო კურსებით მათი გადამზადება. სისტემაში დასაქმებული თანამშრომლები კი მათი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, სამოქალაქო პირებად და ოფიცრებად გადანიშნავენ.

მომავალი ელოდება საზოგადოებას? - ამ კითხვებზე პასუხი არცთუ დამაიმედებელია... ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ დუნდუა სხვებთან შედარებით ოპტიმისტურად უყურებს ვითარებას და მისი ანალიზი ასეთია: „2004-2008 წლებში, როცა 12-პროცენტით ეკონომიკური ზრდა გვქონდა, მაინც არ ვიყავით რეგიონში ლიდერი, ვინაიდან მეზობელი ქვეყნებიც გაცილებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდნენ. 2008 წლიდან ყველგან კრიზისი დაიწყო, რამაც ასახვა პოვა... ამიტომ იმის მიუხედავად, რომ 2012-2013 წლებში 3-პროცენტითი ზრდა გვქონდა, რეგიონის 38 ქვეყანას შორის მესამე ადგილზე ვიყავით და ვართ. 2014 წელს სავალუტო ფონდის მონაცემებით, ზრდის ლიდერი გავხდით. 2015-2020-შიც, ალბათ, ამ პოზიციას შევინარჩუნებთ.“

ასეთ შეფასებას თითქმის აგრესიით შეხვდა ეკონომისტი დავით ებრაელიძე: „სავალუტო ფონდის თუ დავეყრდნობით, შორს ვერ წავალთ. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ეკონომიკური ზრდის ერთი მხარე მაჩვენებელი ვერ გვიწვევს და განვითარებულ ქვეყნებთან ჩვენი შედარება იმთავითვე არის მცდარი. დღეს ჩვენ გვჭირდება მოკლევადიანი სტრატეგია და შემდეგ გრძელვადიანი“. ეკონომისტები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ჩვენთან პრობლემას კომპლექსურად არ უდგებიან, ეკონომიკური გუნდი მტკიცედ არ დგას და საკმარისი კანონები არ არის. მეტიც, ეკონომიკური ზრდა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება ხდება. უმთავრეს პრობლემებზე - ლარის გაფასებაზე ცოტა ქვემოთ მოგანვძიოთ ინფორმაციას, ხოლო ექსპერტ მიხეილ ჯიბუტის ზოგადი აზრი ეკონომიკაზე ასეთია: „საქართველოში არ დასრულდა ლენინიზმი, ანუ პო-

ლარის პედი

ლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. საკითხები არ წყდება ეკონომიკური მიზანშეწონილობით. შესაბამისად ვიმყოფებით ეკონომიკურ კრიზისში. საქართველომ 1989 წლის დონეს ვერ მიაღწია. თუმცა, ამ 25-წლიანი უწესრიგობის პერიოდში არასოდეს ყოფილა ერთი პირის გავლენა დემონსტრაციის იმ დონეს, რაც დღეს ბიძინა ივანიშვილს აქვს. მას ტოტა-

ლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. საკითხები არ წყდება ეკონომიკური მიზანშეწონილობით. შესაბამისად ვიმყოფებით ეკონომიკურ კრიზისში. საქართველომ 1989 წლის დონეს ვერ მიაღწია. თუმცა, ამ 25-წლიანი უწესრიგობის პერიოდში არასოდეს ყოფილა ერთი პირის გავლენა დემონსტრაციის იმ დონეს, რაც დღეს ბიძინა ივანიშვილს აქვს. მას ტოტა-

ლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. საკითხები არ წყდება ეკონომიკური მიზანშეწონილობით. შესაბამისად ვიმყოფებით ეკონომიკურ კრიზისში. საქართველომ 1989 წლის დონეს ვერ მიაღწია. თუმცა, ამ 25-წლიანი უწესრიგობის პერიოდში არასოდეს ყოფილა ერთი პირის გავლენა დემონსტრაციის იმ დონეს, რაც დღეს ბიძინა ივანიშვილს აქვს. მას ტოტა-

ლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. საკითხები არ წყდება ეკონომიკური მიზანშეწონილობით. შესაბამისად ვიმყოფებით ეკონომიკურ კრიზისში. საქართველომ 1989 წლის დონეს ვერ მიაღწია. თუმცა, ამ 25-წლიანი უწესრიგობის პერიოდში არასოდეს ყოფილა ერთი პირის გავლენა დემონსტრაციის იმ დონეს, რაც დღეს ბიძინა ივანიშვილს აქვს. მას ტოტა-

ლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. საკითხები არ წყდება ეკონომიკური მიზანშეწონილობით. შესაბამისად ვიმყოფებით ეკონომიკურ კრიზისში. საქართველომ 1989 წლის დონეს ვერ მიაღწია. თუმცა, ამ 25-წლიანი უწესრიგობის პერიოდში არასოდეს ყოფილა ერთი პირის გავლენა დემონსტრაციის იმ დონეს, რაც დღეს ბიძინა ივანიშვილს აქვს. მას ტოტა-



ივანიშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ?!

დასახელება: 1) დოლარის გამყარება მსოფლიო მასშტაბით; 2) საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მასშტაბური ზრდის აღკვეთა (2013 წლიდან დაიწყო 2008 წელს აღებული ვალის დაფარვა და შემცირდა ვალი 10 მილიონი დოლარით) და 3) 2013 წელს ეროვნულმა ბანკმა ამოიღო 500 მილიონი დოლარი და გაყიდა ლარი.

ეკონომისტების აზრით, რაც უნდა იყოს, ხელისუფლებამ უნდა დაიჭიროს ლარი, თუნდაც ძალიან არაპოპულარული მეთოდების გამოყენებით, თუნდაც შოკური, პანიკური... ეროვნულმა ბანკმა უნდა გაზარდოს ეკონომიკური განაკვეთები, რაც შეამცირებს ეკონომიკურ ზრდას, რაც გამოიწვევს სამსახურებიდან ხალხის დათხოვნას, მაგრამ ამის გაკეთება ღირს. როგორ უშველა რუსეთმა რუბლს? - იქ განაკვეთი 17 პროცენტამდე ააგდეს. ჩვენც ასეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ამბობენ ექსპერტები.

როცა დარბაზში ლარის ბედზე მსჯელობდნენ, ლარი დევალუაციას განაგრძობდა. მერაბ კაკულია საკმაოდ კვებტიკურად უდგება იმ აზრს, რომ ამ ეტაპზე ლარს რაიმე უშველის, თუმცა, კარგი იქნებოდა 2,15-2,25-ის ფარგლებში შენარჩუნებულიყო. მისი თქმით, ყველაფრის თავი და თავი ის არის, რომ ეკონომიკურ სტრუქტურას ცვლილება სჭირდება. „დოლარი კიდევ უფრო გამყარდება მთელ მსოფლიოში, - ამბობს ექსპერტი, - სავალუტო კრიზისმა კარგად აჩვენა, რომ ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურა კარდინალურად არის შესაცვლელი. სანამ ქვეყანა მხოლოდ იმპორტზე და მოხმარებაზე არის ორიენტირებული, ამას ვერაფრით ვუშველით. ყიდვის კულტურა და მიდგომა უნდა შეიცვალოს.“

ეს უკვე მენტალური პრობლემაა. ქართველს როგორ გინდა გააგებინო, რომ, თუ 100 ათასი დოლარი არა აქვს, „ჯიპს“ ბანკის ვალით ნუ იყიდის. მით უმეტეს, დოლარში აღებული სესხით?! დღეს ხომ მთელი ქვეყანა ასე დაუფრთხილები ვალეებით ცხოვრობს. ბიძინა ივანიშვილმა ასეთი რჩევის გამო საყოველთაო რისხვა დაიმსახურა, მაგრამ თურმე სწორედ ამ გათვლებზე დგას მაკროეკონომიკა...

თავი მოსია საქართველოს ჩესპუკლია



SIC!

# უპარტიო პრეზიდენტმა კლანჭები გამოაჩინა!

## როგორ გამოეხატა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას სამთავრობო გუნდში

სამართლიანად პრეზიდენტმა პარლამენტში მთავრობის წარდგენა ერთი კვირით გადადო, - ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პრეზიდენტის განცხადებას გამოემხურა და მშვიდად თქვა, რომ პრეზიდენტს მსგავსი გადაწყვეტილების კონსტიტუციური უფლება აქვს და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის გადაწყვეტილებას.

გიგლა აგულაშვილი პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაში პრობლემურს ვერაფერს ხედავს. როგორც აგულაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ეს არის ინსტიტუტების შორის ჯანსაღი ურთიერთობის შედეგი და ამაში დაძაბულობის არანაირი ნიშანი არ არსებობს.

„ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის არის ის პასუხისმგებლობა, რომელიც აქვს მთავრობას ქვეყნის მართვის კუთხით. შექმნილ ვითარებაში, როდესაც ჩვენ ყველას გვანახებს ლარის კურსთან დაკავშირებით წუხილები, მე ვისურვებდი, რომ მთავრობას ჰქონოდა შესაძლებლობა სრული მასშტაბით, სწრაფად შედეგომოდა მუშაობას, მაგრამ როგორც ჩანს, პრეზიდენტი იყენებს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას. ვისურვებდი, რომ

მოქალაქეებმა ადეკვატურად შეაფასონ შექმნილი ვითარება და ნუ იფიქრებენ, რომ რაიმე დაძაბულობის ფონი არსებობს, - განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არის ლოგიკური საფუძველიც.

როგორც საგანელიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, სასურველი იქნებოდა, მთავრობის დამტკიცება არ გაჭიანურებულიყო, თუმცა, პრეზიდენტმა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გამოიყენა.

პრეზიდენტს გუშინ გაეგზავნა მთავრობის შემადგენლობაზე ინფორმაცია და ამავე დროს, თხოვნა, რაც შეიძლება დაჩქარებულ ვადებში მიცემოდა პარლამენტს საშუალება, დაემტკიცებინა მთავრობის ახალი შემადგენლობა. ძალიან სასურველი იქნებოდა, რაც შეიძლება მაღელ მიეღო მთავრობის შემადგენლობას სრული ლეგიტიმაცია იმ მოვლენების გამო, რაც უახლოეს დღეებში ხდება საქართველოში. შესაბამისად, ეს იყო ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და ეს იქნებოდა სახელმწიფოებრივად გადაწყვეტილების მიღების ძირითადი საფუძველი. მოსაზრებები, რაც პრეზიდენტმა ბრძანა, რომ პარლამენტს მიეცეს ფიქრისთვის მეტი დრო, სადაც ამაში ლოგიკაც არის, პრეზიდენტმა გამოიყენა თავისი უფ-



ლებები და საზოგადოებას და პარლამენტსაც დაანახა, რომ მას აქვს უფლება, ერთი კვირით შეაჩეროს მთავრობის დამტკიცება. ეს არაფერს არ ცვლის, რადგან მთავრობა მუშაობს და აქვს სრული მანდატი მუშაობისა. დროებით მთავრობაზე საუბარი არ არის. პრეზიდენტი არის იმ როლში, რასაც ჰქვია არაპარტიული, დამოუკიდებელი პირი, არა რომელიმე პარტიაზე ორიენტირებული პიროვნება, არამედ პირი, რომელსაც აქვს თავისი საკონსტიტუციო უფლებები და ცდილობს, გამოიყენოს ეს უფლებები, - განაცხადა დავით საგანელიძემ.

305 როგორ ფიქრობს

# სააკაშვილის მემკვიდრეობის შეღებვს ვივკით!



### ვაჟა გარიია: მთავრობისთვის ხელახალი დოზის დაყენების საკითხი უსდომია

სამთავრობო ცვლილებები და დიდი საპარლამენტო აუიოტაჟი... ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ექსპერტი მანუ ბერიძე გვსაუბრება.

- მიმაჩნია, რომ ნდობის ახალ მანდატს, მთავრობა პრობლემების გარეშე მიიღებს, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ამ მთავრობამ, პრემიერმა ლარიბაშვილმა და მართვაში სერიოზული წვლილის მქონე ივანიშვილმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც საზოგადოებრივი აზრი და საინფორმაციო სივრცე გადართეს განახლებულ მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებაზე.

გვახსოვს, რა თავგამოდებით ცდილობდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, რომ როგორმე პარლამენტში მიეყვანათ ეკონომიკური გუნდის წევრები, რათა მათთვის ხელსაყრელი და სასურველი შოუ დაედგათ, ეფექტური სვლებით მორიგი პოლიტიკური ქულები დაეგროვებინათ. მაშინ მათ ეს ვერ შეძლეს, რადგან მმართველმა კოალიციამ ამას დაუპირისპირა საკომიტეტო განხილვები თბილისში.

დღეს კოალიციამ ხონჩით მიართვა ტრიბუნა ნაციონალურ მოძრაობასა და „თავისუფალ დემოკრატებს“ სავალუტო კრიზისის ფონზე. იმ ფონზე, როდესაც პრემიერს ხელახლა სჭირდება თავისი სამოქმედო სტრატეგიის წარდგენა, ნაციონალურ უპრობლემოდ შეეძლება მათთვის სასურველი მასკარადების მოწყობა და საინფორმაციო სივრცის დაპყრობა. ამიტომ ვფიქრობ, რომ იმ ორი მინისტრის შეცვლა, რომელიც თითქოსდა, საკუთარი სურვილით გადადგნენ, სრულიად არ იყო საჭირო. მით უმეტეს, რომ ეს ორი კონკრეტული მინისტრი კარგ მენეჯერად მიმაჩნია.

მთელ ამ პროცესში კარგია ის, რომ მიუხედავად გაცხადებული ლიდერებისა, ეს ყველაფერი ხდება ანტიკორუფციული ტენდენციის გამყარების ფონზე - ვგულისხმობ, იმ რამდენიმე მინისტრის შეცვლას, რომელიც ასეთ ღონისძიებებს

გადაყენენ - მაგალითად, ნოდარ ჯავახიშვილის დანიშვნით ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე სხვა მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯსაც ნიშნავს, რადგან ამით ხაზი გაესვა, რომ კორუფციასთან მიმართებაში ურყევია მმართველი ძალის და ივანიშვილის ნება.

- ფაქტია, რომ ეს არის ამ ხელისუფლების მანერვი, მაგრამ როგორ ფიქრობთ, რა შედეგზეა გათვლილი? ნუთუ ეკონომიკური პრობლემებიდან ყურადღების გადართვის სხვა გზა არ მოიძებნა?

- თუ ეს მანერვია, არ ვფიქრობ, რომ ის კარგად გათვლილი და ანონილ-დანონილია და შედეგზე ორიენტირებულ-ლი. ის საპარლამენტო ორომტრიალი, რაც ამ სიტუაციას მოჰყვება, ვფიქრობ, რომ მმართველი გუნდისთვის პოლიტიკური სარგებლის მომტანი არ იქნება.

- ყველაზე სენსიტიური თემა, სავარაუდოდ, ლარის კურსს დაუკავშირდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოახერხებს ეკონომიკური გუნდი დაამტკიცოს, რომ ასეთი სიტუაცია მეზობელ ქვეყნებში ეროვნული ვალუტების გაუფასურების შედეგია და არა მისი უნიკალური სხვათა შორის, ეჭვები არსებობს, რომ ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკური მოსაზრებით სულაც საბოტაჟი ხომ არ მოაწყო?

- ეს თემა კარგა ხანია, საკმაოდ სერიოზული განსჯის საგანია. თითქმის ალარავინ აღარ დავობს, რომ პროცესი უპირატესად საგარეო ფაქტორებით იყო გამოწვეული და ამაზე საქართველოს მთავრობას ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო. თუმცა, ლარის გაუფასურების თემას საშინაო ასპექტიც გააჩნია და ის მომენტები, რომელიც მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნება - ინვესტიციები, ექსპორტის გაზრდა, ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და ა.შ. - ამ კუთხით მთავრობას ვერ ვუსაყვედურებთ, რადგან ის საკითხებია, რაც ერთ და ორ თვეში არ წყდება და მთავრობის ბრალეულობის ხაზგასმა გაზვიადებულია.

თუ ეროვნული ბანკის ფუნქციებს შევხედავთ, მივაჩნია, რომ ეროვნული ბანკის და მთავრობის შიდასამართლო მომსახურებაზე აზვინ რამ არის დაამოკიდებული და თუ გრადუალური სარისხვა ვინაობაში, სადაც

50/50-ზეა ეროვნული ბანკის და მთავრობის გრადუალულობა.

ზარდა ამისა, საკმაოდ მინიშნულ-ვანია პარლამენტში ფაქტორიც - ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ვპულისხმობ. ის არის და როგორც ჩანს, დღემდე რჩება ნაციონალური მოქარაობის გუნდის წევრად - ამცხისათი პოზიციები, რომელიც ყველა რაპსრით ნაციონალური მოქარაობის წინამძღოლად ასახავს წყალს. მისი ძველბაი ყოველთვის დაგვიანაბულია და ვამდებ თავის მართლბაას ცდილობს - რევიზირების განაკვეთის შეცვლა თუ ეროვნული ბანკის საბალეტო რევიზირების გამოყენება დაგვიანებით ხდება, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს.

რამდენად არის ასეთი ქმედებები საბოტაჟის შემცველი, ამაზე საუბარი კონკრეტული ფაქტების გარეშე ძნელია, მაგრამ სერიოზული წანამძღვრები არსებობს ასეთი მსჯელობისთვის.

- როდესაც ასეთი სერიოზული ეჭვები არსებობს და ამასთან, ქვეყანას ჰყავს ხელი-სუფლება, პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე - კულისებში, როგორც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი - ანუ ამდენი პასუხისმგებელი პირია, არ უნდა ავიღო საკუთარ თავზე ერთ-ერთ მათგანს მაინც, რომ მოეკვლიათ ეროვნული ბანკის საქმიანობა? თუ მისი ქმედებები ეჭვს აჩენს და ივანიშვილი მოდმივად საუბრობს ამაზე, ბოლოს და ბოლოს, იმპიჩმენტის პროცესის წამონება შეუძლებელი იყო?

- კოალიცია, რომელიც მართავს ქვეყანას, საკმაოდ მყიფე გაერთიანებაა - ისეთი პოლიტიკური სუბიექტები არიან შეკრებილი, რომელთაც ერთმანეთთან საერთო ბევრი არა აქვთ. აქედან გამომდინარე, უჭირთ მყისიერი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ შიდა კოალიციური მოქმედების რეჟიმი ჩამოყალიბებული არ არის. აბსოლუტურად გაუგებარია და რამდენადაც ვიცი, სრულიად არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების რაიმე სისტემა და ა.შ. რაც მთავრობის დაკომპლექტების წესზე, საპარლამენტო კონტოლის დამყარებაზე და სხვა მომენტებზე აისახება.

გარდა ამისა ივანიშვილი, რომელმაც დიდი როლი უკვე შეასრულა ქვეყნის ცხოვრებაში, ერთგულია თავისი მრწამსის და მიაჩნია, რომ მხოლოდ დემოკრა-

ტიული მეთოდებით უნდა იმართებოდეს ქვეყანა - ინსტიტუტების გამოყენება სასურველი პოლიტიკური შედეგის მისაღებად დაუშვებელია - დიდი ხნის განმავლობაში სასამართლოს ხელმძღვანელობდა სააკაშვილის მეგობარი, თანამებრძოლი, ფიქტიურად უპარტიო კოტეკუბლაშვილი და მას მიცა საშუალება, დაესრულებინა თავისი ვადა. ამან დასავლელი მეგობრების მოწონება გამოიწვია და მგონია, რომ მსგავსი პოზიცია არსებობს ეროვნულ ბანკთან მიმართებაშიც.

- საინტერესოა, თუ ლარი ისე გაიქცა, რომ სავალუტო რეზერვების გამოტანამაც არ უშველა, რა უფრო უარესი შედეგის მომტანი იქნება, ქადაგიის გაშვება თუ არგაშვება?

- მმართველ კოალიციას აქვს შესაბამისი ბერკეტები, რომ მიალწიოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაყენებას, ამისათვის არსებობს როგორც ფაქტობრივი მასალა, ისე პოლიტიკური მოტივები, მაგრამ ვფიქრობ, რომ არსებული ბერკეტების გამოყენება ამ შემადგენლობის პარლამენტს გაუჭირდება სასურველი შედეგის მისაღებად.

როდესაც რადიკალურად იცვლება ავტორიტარული რეჟიმი, დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობის პირობებში ძალიან ძნელია მართვის ახალ მოდელზე გადასვლა, ახალი პოლიტიკური ძალიანათვის, მით უმეტეს, როდესაც სახელი-სუფლებო კოალიციაც მყარი არ არის.

სააკაშვილის მემკვიდრეობის შეღებვს ვივკით, როდესაც საპარტი-დენტო მმართველობიდან მართვის გაპარკვივლ მოდელზე გადავიყვანა - საპარლამენტო მმართველობაც არის, კლიერი პრემიერიც (ამ პოსტს თავისთვის იგზავდება) და ხალხის მიერ არჩეული, ფაქტობრივად, უფუნქციო პრეზიდენტიც. ასეთ სიტუაციაში კლიანი ქნელიც, ეფექტური მთავრობა დააკომპლექტო, რომელიც თავს გაართმევს იმ სიქნელიებს, რომელიც დღეს ძვიანის წინაშე დგას. ეს არის პრობლემა და არა პარლამენტის.

- მომავალ კვირაში დაგეგმილია საკმაოდ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებები. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასეთი ცვლილებები სწორედ ახლა, კონკრეტული, საკმაოდ არგუმენტირებული მიზეზი არ უნდა არსებობდეს?

- ერთი მხრივ, შეცდომად მივიჩნევ მთავრობისთვის ხელახალი ნდობის დაყენების საკითხს, მაგრამ რეალური მიზეზი ვფიქრობ, მხოლოდ ივანიშვილია და ლარიბაშვილმა იციან. რეალურად კი მგონია, რომ ასეთი ცვლილებებით სერიოზულ დივიდენდებს ვერავინ მიღლებს.

ესაუბრა ლალი ზირაძე



# წყალი: გვქონდა და ვერ ვიყენებდით?

მრავალ პირობას შორის, რომელიც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელია, წყალი ერთ-ერთი უმთავრესია. სასმელად ვარგისი მტკნარი წყალი კი მრავალ რეგიონში უდიდეს დეფიციტს წარმოადგენს. 2025 წლისთვის სასმელად ვარგისი წყლის დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება თითქოს ამ მხრივ ისეთი უზრუნველყოფილი რეგიონი, როგორცაა ევროპა, მაგრამ, ექსპერტების პროგნოზებით, ყველაზე მძაფრად ეს პრობლემა საგრძნობი სამხრეთ ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზის ქვეყნებში იქნება. ამდენად, 20-30 წლის შემდეგ, მსოფლიოს ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ნედლეული მტკნარი სასმელი წყალი იქნება.

ცხადია, რომ ევროკავშირმა სასწრაფოდ უნდა გამოახსოს სასმელი წყლის ახალი წყაროები, რომლებიც ევროპის ბაზარს უახლოეს 10-12 წელიწადში უნდა მიანოდოს.

2030 წლისთვის მსოფლიოში სასმელი წყლის რესურსი 40 პროცენტით შემცირდება. არადა, საქართველოში, სადაც სასმელი წყლის უდიდესი მარაგია, მისი დამუშავება-გამოყენების და, მით უმეტეს, ექსპორტისთვის, ფაქტობრივად, არაფერი არ კეთდება.

თუკი საქართველოს მტკნარი წყლების მინისტრმა აუზების საერთო მარაგებს გადახედავთ, ასეთი სურათი წარმოგვესახება: კოლხეთის აუზის დღე-ღამური დებიტით მილიონ 756,9 ათასი კუბური მეტრი, ტირიფონის აუზის – 2 მილიონ 147,2 ათასი კუბური მეტრი, ჯავახეთის აუზის – 830,9 ათასი კუბური მეტრი და კახეთის აუზის – მილიონ 190 ათასი კუბური მეტრი, რაც მთლიანად 5 მილიონ 925 კუბური მეტრია. არსებული მონაცემებით, ახლო მომავალში წყალგაყვანილობის წყლის დეფიციტი ევროპაში წელიწადში დაახლოებით 120 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. ამ რესურსების მობილიზება საქართველოსთვის სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან მტკნარი წყლების კაპიტრებული რესურსების მხოლოდ 5 პროცენტს წარმოადგენს.

ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის მტკნარი სასმელი წყლით მომარაგების საკითხი მოგვარებულია, ონკანებში წყალი ყველგან მოდის. უახლოეს მომავალში სასმელი წყლის დეფიციტი კონტინენტზე არნახულად გაიზრდება, ამდენად, ამაზე მოთხოვნა ძალიან დიდია, რადგან იქ ყველა შიდა რესურსი, ფაქტობრივად, ამონურულია.

ამ დროს ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს, ევროპისთვის წელიწადში 15 მილიონი კუბური მეტრი სასმელი წყლის მიწოდება თავისუფლად შეუძლია. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ პოტენციალის მქონე ქვეყანაში უამრავი მხარე როგორც სასმელი, ასევე სარწყავი წყლის უმწვევებს დეფიციტს ათწლეულების მანძილზე განიცდის. თანაც ყველაზე საგანგაშოა, რომ ეს, უწინარესად, მმართველობითი და ინფრასტრუქტურული პრობლემაა. მმართველობითი იმიტომ, რომ საქართველოში მოქმედ 17 წყალმომარაგებელი კომპანია დეფიციტურია, ანუ წამბებიანი, რისი მიზეზი ის გახლავთ, რომ სას-



**ევროკავშირმა სასწრაფოდ უნდა გამოახსოს სასმელი წყლის ახალი წყაროები, რომლებიც ევროპის ბაზარს უახლოეს 10-12 წელიწადში მიანოდოს.**

## განძს გამოყენება სჭირდება!

მელი წყლის ტარიფი არასწორადაა გამოთვლილი და თანადაფინანსება არასწორი მეთოდებით სორციელდება. პრობლემის ინფრასტრუქტურული მხარის არსი კი ისაა, რომ მხარეების ცენტრებსა და სოფლებში, ასევე ქვეყნის ქალაქებში თავად წყალგაყ-

ლობრივი ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს. სწორედ ასეთი მიდგომის უგულვებლყოფის შედეგია, რომ ქვეყნის მნიშვნელოვანი ქალაქები – ქუთაისი და თელავი, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის წყლის არტეზიული აუზების თავზეა გაშენებული, ათწლეულების მანძილზე უწყლობით იხრჩობა. ეს კი, როგორც უემოთაც აღვნიშნეთ, მმართველობისა და წყალმომარაგების კომპანიების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

– საქართველოში წყალმომარაგების შესახებ კანონიც კი არ არსებობს: წყლის შესახებ კანონი გვაქვს, წყალმომარაგების თაობაზე კი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონში მხოლოდ ერთი პუნქტია გაწერილი (!). შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი მმართველობის სისტემის შეცვლა, კერძოდ, წყალმომარაგების შესახებ კანონის მიღება და, მის საფუძველზე, წყალმომარაგების მართვის სისტემის სწორად მოწყობა. ეს კი, უწინარესად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმეა.

მოსახლეობის წყალმომარაგების პროცესის მონესრიგების ერთ-ერთი ქვაკუთხედი წყლის ტარიფის საკითხია – იგი ზუსტად უნდა იყოს გამოთვლილი და, ექსპერტების

აზრით, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს, თავიანთი შემოსავლებისა და მიხედვით, დიფერენცირებულად უნდა ჰქონდეთ დანესებული. ერთ შემთხვევაში თანადაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება იყოს 90 პროცენტი, მეორეში – 50 პროცენტი, მესამეში – 25 პროცენტი. თუმცა კი, მთავარი მაინც ისაა, რომ წყალმომარაგების საქმეში სახელმწიფოს თანადაფინანსება ყოველთვის აუცილებელია, რაც კომპანიებს მომგებიანს გახდის და ინვესტორთათვის გაცილებით მიმზიდველი იქნება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წყალმომარაგების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება ქვეყნის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრეროგატივაა. სწორედ მან უნდა შეიშალოს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რვა წლის მანძილზე სასმელი წყლით მომარაგების ის ნორმები, რომლებიც ამ ორგანიზაციის ქვეყნებში მიღებული შესაბამისი იქნება. ეს კი, კონკრეტულად, ძალიან ბევრ რამეს, მათ შორის, გამრიცხველიანებას, წყლის მიწოდების გრაფიკის დაცვას, მის ხარისხს, სერტიფიკატს, ტარიფების სისტემასა და ა. შ. მონესრიგებას გულისხმობს. მკითხველს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე მეტწილად ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას, ვიტყვი, რომ სადღეისოდ საქართველოში სასმელი წყლის ოფიციალურად დადგენილი სტანდარტიც კი არ არსებობს! „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერს“ ერთი სტანდარტი აქვს, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ – მეორე, რაც სრულიად დაუშვებელია, რადგან საქმე ადამიანების ჯანმრთელობას ეხება!

ისე, კაცმა რომ თქვას, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებაში პრობლემები სხვა მხრივ ბევრია, კერძოდ, ძალიან ცუდი მდგომარეობაა ქვეყანაში წყლის გამწმენდი ნაგებობები, წყალარინების სისტემების მხრივ – საქართველოში მთლიანად თერთმეტი წყალგამწმენდი ნაგებობაა, რომელთაგან გამართულად... არც ერთი არ მუშაობს(!) – ფეკალური მასები პირდაპირ მდინარეებში ჩაედინება! ქვეყნის მასშტაბით წყალარინების სისტემების მოსახესრიგებად აუცილებლად საჭიროა როგორც არსებულ გამწმენდი ნაგებობათა რეაბილიტაცია, ასევე ახლების აგება. ჩვენში მთელი ქალაქებია, სადაც წყალარინების სისტემები... საერთოდ არ არის! არადა, ამ დაბინძურებულ წყალს ერთი ადგილიდან გასაწმენდად მეორეში ხომ ვერ ვატარებთ?!

საქართველოში სარწყავი არხების უზარმაზარი სისტემაა, ამიტომ, საჭიროა მათი რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სპეციალისტებმა ბოლო წლებში დიდი მოცულობის სამუშაო შესასრულეს, მაგრამ შესასრულებელი გაცილებით მეტია. ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა მაინც კახეთშია, რადგან გამართული საირიგაციო სისტემა იქ თავის დროზეც არ იყო.

ოთარ მერიშვილი

**საქართველოს ევროპისთვის წელიწადში 15 მილიონი კუბური მეტრი სასმელი წყლის მიწოდება თავისუფლად შეუძლია.**

### შეზარაპი სტატისტიკა

## ბოლო 12 წელიწადში მოსახლეობა თითქმის 15%-ით შემცირდა

„სამსტატმბ“ საყოველთაო აღწერის შედეგები გამოაქვეყნა და ყველას თვალწინ საგანგაშო სურათი გადმოგვჩვენა. რასაც სპეციალისტები წლების განმავლობაში ემპირიული დაკვირვების საფუძველზე ამბობდნენ, რეალურად დადასტურდა. ბოლო 12 წელიწადში მოსახლეობა თითქმის 15%-ით შემცირდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობა 3,730 მილიონ ადამიანს შეადგენს. 2002 წლის აღწერასთან შედარებით, საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი 641,9 ათასი ადამიანი არის შემცირებული, ხოლო 1989 წლიდან – 1,65 მლნ ადამიანი.

აღწერის შედეგების მიხედვით, სოფელში ცხოვრობს 1,589 მილიონი ადამიანი. ბოლო 12 წელიწადში სოფლის მოსახლეობა 23.8%-ით შემცირდა, ხოლო ქალაქისა – 6.3%-ით. მთელი მოსახლეობის 57.4% ქა-

ლაქში ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის მაჩვენებელს 5.1%-ით აღემატება.

რაც შეეხება დედაქალაქს, აქ 1,118 მილიონი ადამიანი დაგვიდრებულია, რაც მთლიანი მოსახლეობის 30%-ია. წინა აღწერასთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია ბათუმსა (26.3%) და რუსთავში (7.3%). ყველაზე მეტად მოსახლეობა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა (37.4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (29%) რეგიონებში შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერაც და შეგროვდა მრავალფეროვანი მონაცემები სოფლის მეურნეობის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო აღწერამ მოიცვა ყველა ოჯახური მეურნეობა – შინამეურნეობა, რომელსაც, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სარგებლობაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწა, პირუტყ-



ვი, ფრინველი ან ფუტკრის ოჯახი. წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში ოჯახური მეურნეობების რაოდენობამ 640 302 ერთეული შეადგინა. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად დაფიქსირდა 728 247 ერთეული ოჯახუ-

რი მეურნეობა. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერამ არ მოიცვა საქართველოს 5 დიდი ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და ფოთი.

სპეციალისტები აღწერის შედეგებს საგანგაშოს უწოდებენ.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში საუკუნის განმავლობაში საქართველოში ასეთი ცოტა მოსახლეობა არ ყოფილა. ემიგრაციაში წასულია მთელი ქვეყნის მესამედი, ხოლო სოფლები დიდი სისწრაფით იცლება. განსაკუთრებით სავალალო ვითარებაა მთიან რეგიონებში. საქართველოში ასეულობით სოფელი გაუკაცრიელებული ან თითო-ოროლა ადამიანით დასახლებული.

სოციოლოგ ნოდარ კაპანაძის განცხადებით, ქვეყნის მოსახლეობა კატასტროფულად არის შემცირებული. „საერთო ჯამში, ეს მაჩვენებელი ახლოს დგას რეალობასთან, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა საგანგაშოა, გამოკვეთილია ძალიან დამაფიქრებელი ტენდენცია. ასე გაგრძელება არის კატასტროფა. ამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და მისი სასწრაფოდ განაღობა საჭიროა. ერთიანი ისიც, რომ ქვეყანა ასიმეტრიულად ვითარდება და უკეთესობის პერსპექტივა არ არსებობს“, – ამბობს ნოდარ კაპანაძე.

ბაბა დანიელი



????????

ამას მართლაც დასახურება უნდა

ყაზახეთში გამართულ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა სახელმწიფოს მოქმედი მეთაურმა ნურსულთან ნაზარბაევმა. მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 97.7 პროცენტმა.

26 აპრილს ყაზახეთში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ეს უკვე მეორე რიგგარეშე არჩევნებია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ნურსულთან ნაზარბაევმა, რომელიც პრეზიდენტის პოსტს უკვე 20 წელზე მეტია იკავებს. კანონის თანახმად, სუვერენული ყაზახეთის პირველ პრეზიდენტს უფლება აქვს ნებისმიერი რაოდენობით იყაროს კენჭი. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ყაზახეთის პირველ პრეზიდენტთან ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის ასოცირებულია ნაწირი დამოუკიდებლობა (პირველად 300 წლის შემდეგ) და მრავალი წარმატება სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ.

წელს ყაზახეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კანდიდატი იბრძოდა – ნურსულთან ნაზარბაევს, კომუნისტური სახალხო პარტიის წარმომადგენელი ტურგუნ სიზდიკოვი და რესპუბლიკური პროფკავშირების ლიდერი აბელგაზი კუსაინოვი.

არჩევნებზე სიზდიკოვმა ამომრჩეველთა ხმების 1.6% დააგროვა, ხოლო კუსაინოვმა 0.7%, რითაც მათ მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს შესაბამისად.

საინტერესოა, რომ პირველად უკანასკნელი წლების საარჩევნო კამპანიის დროს, კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები კარდინალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ნურსულთან ნაზარბაევს ამომრჩეველებს სთავაზობდა ეკონომიკური რეფორმებს. საზოგადოდ, მისი პროგრამა შეიცავდა ბოლო წლებში მიღებულ საშუალო და გრძელვადიანი განვითარების ყველა სახელმწიფო სტრატეგიას. მაგრამ საკვანძო სტრატეგია გახდა ანტიკრიზისული პროგრამა „ნურლი ყოლ - გზა მომავლისკენ“, რომელიც ნაზარბაევმა ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე წამოაყენა. სწორედ ეს პროგრამა დაედო საფუძვლად წინასაარჩევნო დაპირებებს.

კერძოდ, მასში საუბარია მთავრობის პოლიტიკაზე დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციის გზით. მათ შორისაა გზების მშენებლობა. ყაზახეთი გემს სარფიანად გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და გახდეს „ხიდი“ ჩინეთიდან ევროპაში ტვირთების გადასაზიდვად და პირიქით. გარდა ამისა, ნაზარბაევის სტრატეგია ითვალისწინებს ეკონომიკის თანდათანობით რესტრუქტურულიზაციას და „ჰოლანდიური დაავადების“ შესუსტებას (დღეისათვის ყაზახეთის ბიუჯეტის მესამედზე მეტი ნავთობის ექსპორტზეა დამოკიდებული).

ამასთან ერთად, ნურსულთან ნაზარბაევის წინასაარჩევნო პროგრამა შეიცავდა წინადადებებს ქვეყანაში არსებული სოციალური გარემოს გაუმჯობესების შესახებ: განათლების და ჯანდაცვის სისტემების მოდერნიზაცია, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა. ამჟამად ყაზახეთი მსოფლიოს კონკურენტუნარიანი ქვეყნების რიცხვში შევიდა და ცხოვრების დონის მიხედვით მიაღწია საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მაჩვენებელს (მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2014 წელს 13 ათასი დოლარი იყო). ყაზახეთის უახლოეს (2050 წლამდე) გეგმებშია მსოფლიოს 30 ყველაზე განვითარებული ქვეყნის რიცხვში შესვლა.

რა ამბიციურიც არ უნდა ჩანდეს ეს გეგმები, მოსახლეობას სჯერა ნაზარბაევის. საქმე იმაშია, რომ მოქმედ და კვლავ არჩეულ პრეზიდენტს ჯერჯერობით არ მოუტყუებია ყაზახები: მის მიერ გახმავებული ყველა დაპირება სრულდებოდა. დღეისათვის ყაზახეთი წარმოადგენს ყოფილი სსრკ-ს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყანას. გარდა ამისა, ყაზახეთის მოქალაქე-



# ყაზახეთმა თავისი მომავალი კვლავ ნაზარბაევს ანდო...

ებისთვის მშვიდობა ქვეყანაში და აქმცხოვრებ 140 ეროვნების წარმომადგენელს შორის ტოლერანტული დამოკიდებულების პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ნაზარბაევის პიროვნებასთან ასოცირდება.

უფრო მეტიც, სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ყაზახეთში დღემდე ვერ ხედავენ პოლიტიკოსს, რომელსაც შეეძლებოდა ასეთივე წარმატებით შეენარჩუნებინა სტაბილურობა სახელმწიფოში, მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში.

რაც შეეხება სხვა კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს, ისინი არ გამოირჩეოდნენ მას შტაბურობით.

კომუნისტური სახალხო პარტიის კანდიდატი ტურგუნ სიზდიკოვი, გარდა კომუნისტური ლოზუნგებისა, აქცენტს აკეთებდა ანტიდასავლურ თეზისებზე. მაგალითად, ის გამოდიოდა დასავლური კულტურის მომდევნოების წინააღმდეგ, ტელევიზიისა და კინოს ჩათვლით. ამტკიცებდა, რომ ჰოლივუდის პროდუქცია „ავრცელებს მსუბუქი უზრუნველი ცხოვრების სტანდარტებს, რომელიც სიყალბითაა გამსჭვალული“. ის აგრეთვე აკრიტიკებდა არასწორ კვებას დასავლეთის ქვეყნებში და ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემას. ყაზახი ახალგაზრდებისთვის სიზდიკოვის სურდა შეეთავაზებინა „თვითრეალიზაციის შანსი“, „თანაბარი სასტარტო შესაძლებლობები, ეფექტური სოციალური ლიფტები და მაღალი საზოგადოებრივი იდეალები“.

თუმცა, კანდიდატმა ვერ დაასაბუთა, თუ როგორ აპირებდა ის ზემონახსენებულ „მაკანე მოვლენებს“ გავრცელების აღკვეთას ყაზახეთში.

კომუნისტების კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა ამ არჩევნებზე ყველაზე მოკლე გამოდგა ყველა ადრე ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით – ნახევარ გვერდზე დაწერილი ტექსტი.

კიდევ ერთი კანდიდატი – ყაზახეთის პროფკავშირების ასოციაციის თავმჯდომარე აბელგაზი კუსაინოვი აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ალბერტ გორის გზით წავიდა: მან თავის მიმართულებად აირჩია ეკოლოგია. „ტექნიკური პროგრესის ეპოქაში „მწვანე“ სფერო კიდევ უფრო მონყვლადი ხდება. ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანა უნდა გახდეს ბუნებრივი რესურსების რაციონალური და გეგმიური გამოყენება, გარემოს დაცვა დაბინძურებისგან, სახელმწიფო კონტროლის სისტე-

მის დანერგვა“, – ამბობდა ის ამომრჩეველებთან შეხვედრების დროს. კანდიდატი მოუწოდებდა „ყურადღების გაძლიერებას ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხების მიმართ. დამყარდეს სისტემატური კონტროლი საწარმოების და ორგანიზაციების მიერ მიწის, წყლის, ტყეების და წიაღის გამოყენებაზე. გაძლიერდეს ყურადღება ნიადაგების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიმართ. მეტი ყურადღება დაეთმოს ტყეების დამცავი ფუნქციების შენარჩუნებას, მცენარეული და ცხოველური სამყაროს აღწარმოებას, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების აღკვეთას. დაინერგოს საწარმოო უსაფრთხოების სისტემა“.

თუმცა, როგორც გორს, „მწვანე თემს“ ვერ დაეხმარა ყაზახ კანდიდატს არჩევნების მოგებაში.

წინასაარჩევნო პროგრამების ამგვარი ვინაობა მიმართულება, შესაძლოა, გახდა კიდევ კანდიდატების მიერ მიღებული ხმების მცირე რაოდენობის მიზეზი.

ერთადერთი, რაც აერთიანებდა საპრეზიდენტო პოსტის სამივე კანდიდატს – ეს იყო ევრაზიული ინტეგრაციის უპირობო მხარდაჭერა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფარგლებში. ამ კავშირის უმსხვილესი წევრის – რუსეთის ეკონომიკაში შექმნილი პრობლემების ფონზე, ყაზახეთში ბევრი ეჭვი გამოითქმებოდა ინტეგრაციის სარგებლიანობაზე. გარდა ამისა, ნაციონალპატრიოტები ბოლო ხანს სუვერენიტეტის შესაძლო დაკარგვის თემით სპეკულირებდნენ, ინტეგრაციული პროცესების გაძლიერების და მოსკოვის მიერ საკუთარი ინტერესების ლობირების აქტიუზაციის შემთხვევაში. მაგრამ ოფიციალურ დონეზე, მათ შორის წინასაარჩევნო რბოლის მონაწილე პოლიტიკოსების ჩათვლით, არ განიხილებოდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირში შემდგომ ყოფნაზე უარის თქმა.

ამგვარად, ყაზახეთის პრეზიდენტის მორიგ, რიგით მესუთე, არჩევნებში კვლავ გაიმარჯვა ნურსულთან ნაზარბაევმა. კიდევ ერთხელ დადასტურდა მოსაზრება, რომ მოსახლეობა ვერ ხედავს ქვეყანაში სხვა პოლიტიკოსებს, რომლებსაც შეიძლება ანდოს თავისი მომავალი.

გუზა რცხილაძე

კაკალ გულში

## ნეკროლოგიური თქაზები

● და შეგყარა სხვა თინა სპასალარმა შიშით ძრწოდნენ რუსნი, სელჩუკნი, სპარსნი, სვამენნი და ძურტუკნი დაიძრა ჯარი და აღარ იყო მათდა წინა კლდე, უფსკრული, უდაბნო, რამეთუ წინ უძლოდა თინა, შემოხვდა თერგზედ რუსთა დეგემირი ვალოდია. გაუხტა თინა მდინარეში, ჰკრა პოროლი და უქნია ხმალი. ვალოდიას თავი მდინარე ჩქერებს მისცა. თინა სპასალარზეგს უფვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა პარლამენტში ფეხი შედგა, საქართველომ იწყო დრეკა!

● ვინმე აზერბაიჯანელი ბარიგა რომ დავიჭიროთ და გავუცვლოთ, არა?

● ერთი კარგად დაიმასსოვრეთ ყველა: თუ რესპუბლიკელებს ჩაუვარდათ ძალაუფლება ხელში (რისი აშკარა ნიშნებიც ნათლად ჩანს), დარწმუნებულები იყავით, რომ ნაციონალებს დააბრუნებენ უეჭველი და იმაზე უარესი დიქტატურა და განუკითხაობა დაიწყება, რაც გასული 9 წლის მანძილზე იყო მიზა სანატრელი განცდებთან!

● ბოლო ხანს, რამდენჯერაც პარლამენტის სხდომას გადავანყედი, 15-20 ცაცხე მეტი არ ზის დარბაზში. მაგდენი და მაგაზე მეტი, კო „თანამზავრშიც“ დაეტევა და რალაზე ვანვალბოთ ამ მეფისტოლა ხალხს აქეთ-იქით წანწალით?!

● ჩემი აზრით ლარიბაშვილის, კვირიკაშვილის, სერგაევოს და წულუკიანის გარდა, ამ მთავრობაში ყველა დედამონატრებულია! ნუ სტანჯავთ, გაუშვით, ოჯახებს ჩაეხუტონ!

● ფრანგული მედია არსად არ ამბობს რომ, ცენტრალურ აფრიკაში ქართველი ჯარისკაცები აუბატიურებდნენ... სააგენტო ფრანს პრესის სტატიაში არის მხოლოდ აფრიკელი ქალის ფრაზა, რომელიც ამბობს, რომ იმ ბრიგადაში ქართველებიც მსახურობენო, თუმცა, მონაწილეობდნენ თუ არა გაუბატიურებაში, ამაზე ის აფრიკელი ქალბატონი არაფერს უყვება უზრუნველსტის (ფრანგული წყარო).

ამოკრიბა ბიბა ბაბრიძე

ფაინდა

## დაუღეპარი და შეუფერებელი ქმედებისთვის სამსახურიდან დაითხოვეს

შსს-მ სამი თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუღეპარი და მოუფერებელი ქმედებისთვის სამსახურიდან დაითხოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამი თანამშრომელი გელა ხ., ზურაბ ა., ალექსანდრე კ. და ბესიკ ო. სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუღეპარ დამოკიდებულებას იჩენდნენ და მოსამსახურისათვის შეუფერებლად იქცეოდნენ.

უნწყების ინფორმაციით, 2015 წლის 22 აპრილს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უზნის ინსპექტორების განყოფილების უზნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს, პოლიციის უფროს ლეიტენანტ გელა ხ.-ს დაუკავშირდა მისი ნათესავი, შს სამინისტროს ყოფილი მოსამსახურე, მოქალაქე რამაზ გ. და სთხოვა, დაედგინა მისთვის მობილური ტელეფონის ნომრის მფლობელის დემოგრაფიული მონაცემები. გელა ხ-მ მასზედ რიცხული გენერირების მოწყობილობის მეშვეობით, შს სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში არასამსახურებრივად მოიძია აღნიშნული ინფორმაცია, რაც აცნობა მოქალაქე რამაზ გ-ს.





ყოველკვირული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №237

ისივე წარსულში არ ჩვენი, ყველა თაობისთვის თანამედროვენი, ჩვენს ღრუბანდელ ცნობიერებაში მონაწილეობენ და მათთან ყოველი შეხვედრა გვარწმუნებს დიდი ტალანტების ამგვარ დანიშნულებაში.

თუ რაოდენ დიდი ღირებულებაა მსმ მონაწილეს დატოვებული სამყარო, მხატვრის მეწამული სილუეტები, „თავისუფლების“, „ნამდვილობის“, „ტალანტის“ მისეული განმარტებები, კიდევ ერთხელ გავაცნობიერეთ ლაღ გუდაპევილის სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში, პროფესიულად ზუსტი განათების ფონზე...

ჩვენს უახლოეს წარსულში, როცა არსებობდა დიდი-დიდი ლიტერატურა, ვფიქრობთ, არანაკლებ დიდი გაზრდილებმა იყო, იქნებ უპირატესიც კი, „ნამდვილისთვის“, როგორც იდეალისთვის მძძოლა. ამ ურთულეს, გაუგებრობისა და გამეტებისთვის განწირულ გზას ესმა ონიანმა „ნამდვილობის ხეივანი“ უწოდა, რადგან მხოლოდ „ნამდვილი“ და არა სინამდვილე გახლავთ ხელოვანისთვის ყველაზე არსებითი სათქმელი. ამ თვალსაზრისით, ესმა ონიანის აზროვნების ფორმა ერთდროულად ორიგინალურაცა და უნივერსალურაც.

გამომწვევის გახსნიდან რამდენიმე დღის მერე, ჩვენს კითხვებზე, რამდენად მნიშვნელოვანია ან თუნდაც, საჭირო, მხატვრის ხშირი ექსპონირება, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრომ გოგი ხოშტარამ გვიპასუხა, რომ არიან მხატვრები, რომლებიც მუდმივად უნდა იყვნენ გამოფენილნი. მათ შორის ესმა ონიანიც.


**მომი ხომალტში: ნონსენსია, რომ არ არსებობს მუდმივი ექსპონირება მხატვრებისთვის. გალერეა დავკარგეთ. არ არის, თუნდაც, საშუალო დონის ნავეგობა მხატვართა მუზეუმისთვის. რით უნდა გაიყნოს საქართველო? რით ვამაყობთ, თუ არა ფრესკით, მინანქრით, ტაძრით...**

სამკოთა პერიოდში, მიუხედავად უზარმაზარი დანაკლისისა, (გველისხმომ რეპრესიების წლებს. დავით კაკაბაძეს რომ ვაავდებ აკადემიდან, რა კულტურაზე შეიძლება ლაპარაკი), იყო რაღაც გამოჩინებებიც. დაიწყო თუ არა პატარა ლიტერატურული, წამოვიდა უნიჭიერის მხატვრობა. ესმა სამოციანი წლების პლედას უნდა მივაკუთვნოთ.

ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, იმდენი და იმ რანგის მხატვარი ჰყავს, ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა. მთავარია, რომ ფერწერის ტრადიციები არ მოკვდა. მოდა ცვალეზდა. ფერწერა მუდმივი.

ესმა ონიანი პირველთა შორის დგას. ამ პატარა გამოფენაზე მისი ნამუშევრების მხოლოდ მეორე ნაწილია გამოფენილი. თუმცა, თითოეული ისეთი ინტენსივობის სურათითა, რომ დამოუკიდებლად, ცალკე კედელს აიტანდა. აქ მნიშვნელოვანია ნახატის და ფერწერის ერთიანობა. მხატვარი ნახულობს იმ განზოგადებას, სადაც ამოსავალი წერტილია ენა – მეთის, ფერის... პასტოზური გამოვლენის ენა...

აქ რამდენიმე სტუდენტობისდროინდელი ნახატაცაა გამოფენილი. აქედანაც კარვად ჩანს რაოდენ ნიჭიერი. დავით მოძებელი ნიჭიერება ახლავს ესმას. მას აქვს სრულიად თავისუფალი მანერა, ფერის შეგრძნება, საგნის ძერწვის გემო. ის არ იფანტება, თავის თავს მალე პოულობს. მი-



ფერწერაში მთავარია ნახატის და ფერის შეხამების პრობლემა. ეს მევენს არ გამოსდის... ესმა ონიანი, ამ თვალსაზრისით, არის უნიკალური.

მაღალაშვილის და ახლევდიანის მერე ამ რანგის მხატვარი ქალი არ გვეყოლია. აქ „ქალი“ რაიმე შედავანს არ საჭიროებს. როცა ვამბობ „ქალი“, გველისხმომ მის სინამდეს, პოეტურობას, რაც მიმართულია სახის გახსნივინ და არა მხატვრული ენის დასუსტების ხარჯზე. აი, ვთქვათ, საოცარია მისი დედის პორტრეტი... ცხადია, ძალიან სახიფათოა მთვარიანი ღამის დახატვა, რომ არ გადავიდეს თავშეუკავებელ გამაში. ესმას აქვს ზომიერების კურთხეული გრძობა. მან ძალიან მევენი რამ იყის, მაგრამ მის ნახატში არ არის თვითმინურად შემოჭრილი აკადემიზმი. ენა, ზეთი, პასტოზი, ფერწი, მუშაობის მთელი ენერჯეტიკა მიმართულია ნამდვილი მხატვრული სახის შექმნისაკენ.

21 აპრილს, კეცხოველის ქუჩაზე, ესმა ონიანის პერსონალურ გამოფენაზე, თითქმის ყველა ის ადამიანი იყო, ვისაც



# „ქვირისკოს ნიშნი“

წლების მანძილზე მის შემოქმედებასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. მოგვიანებით ქალბატონმა ირინე ონიანმა, ესმა ონიანის დამ, გამომსვლელთა სიტყვების რამდენიმე ჩანაწერი გადმოგვცა, რასაც უცვლელად ვაქვეყნებთ.

ერთ-ერთი ხელნაწერი, მცირე ესეი, ასეა დასათარგმნელი – „აპრილის თვეში...“ რომელიც მკა ჯოხაძეს ეკუთვნის, შეუმცდარი ლიტერატურული გემოვნების ადამიანს. არა მხოლოდ ლიტერატურულ მეტრს, არამედ პიროვნებას, ვისგანაც დავალდებულები არიან ქართველი მხატვრებიც და საერთოდ, იგი თანამედროვე ქართული კულტურული სივრცის გამოჩენილი შემოქმედი.

## აპრილის თვეში...

მს მერამდენე გამოფენა ესმა ონიანის და მიუხედავად ამ პეიზაჟთა თუ პერსონაჟთა ახლობლობისა, ყოველ ჯერზე, თავიდან და თავიდან აღმოაჩენ ამ ტილოებზე ისეთ რამეს, რომლისთვისაც აღრე ყურადღება თითქოს არცკი მიგიქცევია. სხვათა შორის, ასევეა მის უნიკალურ პოეზიაშიც, რომელიც განუწყვეტლივ გოცვებს თავისი მასშტაბით, ენერჯული სიკეთით, სიღრმით, სინათლით... ეს მოუწყენლობა და მარადიული სიახლის განცდა კლასიკის უტყუარი ნიშანია. კლასიკისა, რომელსაც არც დრო და არც სამღერეები არ გააჩნია. ამიტომ ხშირად მიფიქრია ესმა ონიანის ფენომენზე და იმაზე, რომ როდესაც ვახდენთ საზღ-

ვარგარეთ ჩვენი სავიზიტო მარათის - ხელოვნების, მეცნიერების, ზოგადად, ქართული კულტურის გატანას, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ რანგის შემოქმედის სამყაროს უნდა ვაცნობდეთ უცხოელებს.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს – ლაღო გუდაპევილის საგამოფენო დარბაზის განათებაში თითქმის სრულყოფილად ააღვარა ესმა ონიანის შეუდარებელი მეწამული ფერი, მისი აღმოჩენა – ენდროსფერი, სააღდგომო კვერცხთა ვიზრაციები და მარადიული განახლების ხალისი და სევდა მოგვეგვარა ერთდროულად. ყოველივე ამის განცდაში აპრილის თვეში საკმეველისა და ვარდის სურნელში ჩაგვიძირა თითქოს ყველანი – მასპინძლებიცა და სტუმრებიც.

მაპა პოსაძე.

## ქალბატონ ნახან მისის გამოსვლიდან:

ამ სფეროში მე მხოლოდ მოყვარული, დილენტი ვარ და შემძლია, დავეყრდნო ჩემი შინაგანი ემოციების კარნახს, რაც თავისთავად სუბიექტურია, მაგრამ დაფიქრებისას, განალიზებისას ხვდები, რომ ასეთი მრავალმხრივ ნიჭიერებას, როგორცაც ესმა ონიანი ავლენს თავის აზროვნებაში, პოეზიაში თუ ფერწერაში, საფუძვლად უდევს მისი შეგრძნებების, მსოფლაქმის არაჩვეულებრივი სიმდიდრე და სიღრმე.

მე ვგრძნობ, რომ ეს ადამიანი საოცრად გამძაფრებული მგრძნობელობით იყო დაჯილდოებული. როგორ ისრუტავდა გარემოს ფერით, სურნელით, შეხებით და ამ შეგრძნებებს გადააღწებდა ძლიერი ინტენსივობის აზრად, ფერად, განწყობილებად... იმდენად, რომ გრძნობთ პეიზაჟის კლიმატს თუ პორტრეტის სუბიექტის ხასიათს, მის ემოციურ მხარეს, კულტურის დონესაც კი...


ლექსებსა და ჩანაწერებში კი მთლიანად მართლდება ამ დიდი ინდივიდუალობის ხელოვანის პიროვნული ტალანტი, მაღალი აზროვნება და სიწრფე...

## ღვთაპირი ნიჭის ხელოვანი

ესმა ონიანი არაჩვეულებრივი მოვლენაა არა მხოლოდ მხატვრობასა და პოეზიაში, არამედ, ზოგადად, ქართულ კულტურაში. ის შემოქმედი, ვისი პოეზიისა და მხატვრობის აღქმა ღრმა ფილოსოფიურ აზროვნებას და განსაკუთრებულ გულსყურს მოითხოვს.

როცა ესმა ონიანის ცხოვრებას ეცნობი, მის ლექსებს კითხულობ ან ფერწერულ ტილოებს ათვალიერებ, უნებურად მანანა ორმელიანის სალონი გაგახსენდება, სადაც მუშის მსახურთა იმდროინდელი თანავარსკვლავედი იკრიბებოდა ტატო მარათაშვილის მეთაურობით.

ესმა ონიანის მყუდრო ბინა, მაშინდელი პლენარის პროსპექტისა და მარჯანიშვილის მოედნის კუთხეში, სწორედ იმ შემოქმედთა თავშესაფარი და შეკრების ადგილი იყო, სადაც თავისუფალ აზროვნებას სამანი არ ედო, გასაქანი დიდი იყო და მაღალი სულიერების მატარებელ შემოქმედთა გონებაში ახალი იდეები და შემოქმედებითი იმპულსები ჩნდებოდა, რომელთა ქალაღზე, ტილოზე და ეკრანზე გადატანა შედეგებდა ეფინებოდა სრულიად საქართველოს. რად ღირს თუნდაც ამ საოცარ თანავარსკვლავედთა ჩამოთვლა – გერამ





რჩეულიშვილი, დავით ჯავახიშვილი, ერლომ ახვლედიანი, ჯანრი კაშია, თათარ იოსელიანი...

შემოქმედებით ასპარეზზე მათი გამოსვლით, კომუნისტური იდეოლოგიის მუდმივი წინის და მარჩუხების მიუხედავად, საქართველოში ინერციით და მდორედ მიმდინარე კულტურულ-შემოქმედებით პროცესი გამოცოცხლდა, გაცხოველდა, სიმართლით, ენერჯით აივსო და ახალი ფორმა შეიძინა, რამაც მონაგრო ირგვლივ გამეფებული რუტინული ცხოვრება და თვითონ ჯერ კიდევ ახალგაზრდებმა, თანატოლებმა მაგალითი მისცეს და მომდევნო, ახალ თაობას სულიერებისთვის ეგზომ საჭირო და აუცილებელი საკვებ-საგზავლი უწილადეს.

სწორედ ესმა ონიანის მყუდრო ბინაში, მის მეწამულისფერ ფერთა გარემოში იქმნებოდა და ყალიბდებოდა ტოლმეგობართა ახალ-ახალი ნაწარმოებები – ლექსები, სცენარები, მოთხრობები, ნახატები...

გენიალურ ქალბატონს, რომელმაც თავისი შემოქმედებით ახალი ეპოქა შექმნა, თავისუფლების განცდა არასოდეს დაუკარგავს, ირგვლივ გამეფებულ ყოფას ირონიულადაც კი უყურებდა, რაც შესანიშნავად გამოიხატა ერთ-ერთი ლექსში „სალალომ“. აქ შესანიშნავად იკითხება მისი სულის სიმაღლე და უკომპრომისო მოქალაქეობრივი მრწამსი:

„არ შეკადრდება ესმას სიბრძნით ენის ლესვა  
– არ მიბეჭდავენ, გადავწერ, მომირთმევია ესა;  
ნაკლები ბიჭები იყვნენ  
ხელით თუ სწორდნენ ლექსსა?!“

ესმა ონიანის მსგავსი ხელოვანი უკვდავი არიან, რადგან მათ შემოქმედებასთან ყოველი მიახლება სრულიად ახალ შრეებს აღმოაჩენინებს დაკვირვებულ ადამიანს.

გადის დრო, მოდის ახალი თაობა, რომელიც პირუთენელი შემფასებელია წინა თაობის ნაღვანისა და ბედნიერება, რომ ისინი შესანიშნავად ხედავენ უდიდესი შემოქმედის, პოეტის, მხატვრის და ღირსეული პიროვნების ესმა ონიანის შთამბეჭდავ სახეს. რაც დრო გავა, ესმა ონიანის ფენომენი უფრო მძაფრად გახშირდება, უდიდესი სიმაღლეებამდე ავა, რადგან მისი შემოქმედება საოცრად სუფთა და გამჭვირვალეა.

მანანა პაჭარაძე.

და ბოლოს, ჩვენი ცნობილი სულიერი მოძღვრის, მეუფე ადამის სიბრძნით და სულიერებით გაჯერებული აზრი ესმა ონიანზე:

ჩვენ დღეს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხატვრის, ჯემარტად უბაძლოს, საოცრად თვითმყოფადი და განუმეორებელი ხელოვანის გამოფენაზე ყოფნის ბედნიერება გვაქვს.

შეგრი რამის თქმა შეიძლება. აი, ახლა ვუყურებდი აქ წარმოდგენილ შედეგებს და იმაზე მეფიქრებოდა, რომ ესმა მისი შემოქმედება არ მიმართავს არაფერს ბლაპრულის, გამოგონილს, ფანტასტიკურს, ჰიპერ-ან სიურეალისტურს... მისი სიუჟეტები ძალიან ადამიანურია და უბრალო, ამიტომაც უდიდესი მიზიდულობის მქონე და თბილი... ესმას გმირები უხმირესად მისივე ახლომდელი ადამიანები არიან: დედა, მამა, და, ბაბუა, ბებია, ნაცნობები, მეგობრები, მეზობლები... გარემო, რომელსაც ესმა ხატავს, ასევე მინაწერილია, რეალური, ცხოვრებისეული (სამოთხის თემაც)... და აი, სწორედ ესა განსაკუთრებით ხაზგასასმელი, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია! ავი ესმასეული, არაორდინალური, ერთი შეხედვით უცნაური, საოცრად ორიგინალური სახეები, საგნები, სამოსის ქარგა და ნაოჭები, მიწისა და ცის ნაჭრები, ფერები, შტრიხები მხატვარმა თავის ირგვლივ აღმოაჩინა. მას, რასაც უყურებდნენ ესმა, როგორც ობიექტს, მას, რაც უნდა მოაქციოს ამ გენიალურმა შემოქმედმა თავის დახატულ სამყაროში, შეიძლება მილიონობით ადამიანი უყურებდეს ყოველდღიურად, შეიძლება თითოეული ჩვენგანიც უყურებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვერც ის მილიონი კაცი და ვერც სხვა რომელიმე მხატვარი-ხელოვანი და ვერც ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რასაც ხედავს ესმა ონიანი; ჩვენ ვერ ვამჩნევთ (რადგან ყველას როდი ეძლევა ეს უნარი) ამ ფერთა სამყაროს, ამ განწყობათა და გრძობათა წყებას, მშვენიერების, ამაღლებული სულისა და სულიერების სრულიად ახალ და უცნობ განზომილებას... ესმა დანახულს გარდაქმნის თავის შემოქმედებით ცეცხლში, ანუ სულში, გონებასა და გულში, როგორც ოქროს ქუჩაში, გამოაწრთობს, ელვარებასა და სიღრმეს შესძენს იმ უდიდესი ტალანტის წყალობით, მას რომ ეზოდა და ადამიანებს უბრუნებს არაჩვეულებრივი სიყვარულით!

არქიმანდრიტი ადამი (მასხანა ახალაძე)  
2015 წლის 21 აპრილი



ლია წერილი-მიმართვა გულბიის პარლამენტის წევრს, გეტონ ლორან ლუის, მისი განმარტებული გამოცვლის გამო გულბიის პარლამენტში.

ძვირფასო ბატონო ლორან ლუი!  
თქვენი სენსაციური გამოსვლა გულბიის პარლამენტში ქართულ მედიამაც გახმაურდა.

თქვენ ბრძანებთ, რომ დასავლეთის ქვეყნებში მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით მიმდინარეობს მოსახლეობის გამოთავსება და რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები საკუთარ მოსახლეობას იდიოტად თვლიან. ზუსტად ასეა ჩვენთანაც, საქართველოში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შუალედში.

თქვენ უარი თქვით და არ შეუერთდით თქვენივე ქვეყნის – გულბიის პარლამენტის რეზოლუციას, რომლითაც გულბიის ვალდებულებას იღებს, დაეხმაროს საფრანგეთს, რათა მან აფრიკის ერთ-ერთი პატარა ქვეყნის, მალის, ტერიტორიაზე ნეოკოლონიური ოპერაცია წარმატებით ჩატაროს.

თქვენ ბრძანებთ, რომ ადამიანის უფლებათა და ღირსებათა დაცვის იდეა დღეს გამოყენებულია სამხედრო ოპერაციებისთვის და გამოყენებულია პლანეტის იმ ქვეყნებში, რომლებშიც ნეოკოლონისტ დამპყრობლებს ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება სურთ. თქვენ ბრძანებთ, რომ ეს ხდება მალისშიც! ფაქტობრივად, თქვენ ფარდა ახადებთ გულბიის მიპატიჟებულ მალის ბუნებრივი რესურსების ძარცვაში და პირდაპირ განაცხადებთ, რომ თანის მიზანია, ჩინეთის გამოძევება აფრიკიდან ამერიკისა და საფრანგეთის ერთობლივი სამხედრო ძალებით და მალისის გამარჯვება ამერიკისა და საფრანგეთის მიერ! რომ მალისში ადამიანის უფლებები ირღვევა, რომ მალი ოქროს მსხვილი მწარმოებელია! გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ ისიც აღმოჩნდა, რომ მალისი ურანის მოპოვებას უადრესად ხელსაყრელი უპირატესობა აქვს და იაფია!

ბატონო ლორან ლუი! თქვენი პროტესტით გულბიის პარლამენტის რეზოლუციის მიმართ თქვენ წინ აღუდევით თქვენი ქვეყნის – გულბიის სახელმწიფოებრივ სიყრუეს, რომელსაც გულბიის პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს თქვენი ქვეყნის მოსახლეობის სახელით, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ წინ აღუდევით თქვენი მოსახლეობის გამოთავსებას თქვენივე ქვეყნის ხელისუფლების მიერ! ამავე დროს თქვენ წინ აღუდევით ადამიანის უფლებებით შეფუთულ მეგობრობას, გამეფებულს მთელს დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში. თქვენ დღეს ბრძანდებით მაგალითი მსოფლიოს ყველა პარლამენტარისთვის! თქვენ დღეს ბრძანდებით მსოფლიოს სამაგალითოდ ღირსეული მოქალაქე! უფრო მეტიც: თქვენი ამბოხით თქვენ დაადსტურებთ, რომ ღმერთს არ მიუტოვებია კაცობრიობა პოლიტიკური ყაზალების ანაბარა, და დღეს თუ არა ხვალ, პატიოსნება და ადამიანისადმი ნამდვილი პატივისცემა გათოკავს ყაჩაღობას.

თქვენ ბრძანებთ, რომ „დასავლეთის ქვეყნები ყველა საშუალებას მიმართავენ, რათა თავიანთი სამხედრო ბაზებით დაფარონ ახალი დაპყრობილი ქვეყნები, ამასთანავე დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური შეკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს. ყველაფერი სტრატეგიულადაა მოფიქრებული-ჩაფიქრებული...“

ერაყში ჩვენმა ამერიკელმა მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს ნავთობი, ავღანეთში საუბარია ნარკოტიკებსა და ოპიუმზე, ანუ ფულის სწრაფად გასაკეთებელ საშუალებებზე...“

თქვენ მართალი ბრძანდებით. ჩვენ, ხუთმილიონიანი პატარა ქვეყანა, საქართველო, ამერიკისა და ევროპის ახლად დაპყრობილ ქვეყნებს ვეკუთვნით. თქვენ ზუსტად გაუსვით ხაზი იმ ჩანაფიქრსაც, რომლითაც „დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური დაკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს“, იმისათვის, რომ ადგილობრივი ეკონომიკა სტაბილურად დარჩეს ჩაძირულ მდგომარეობაში. ჩვენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი რესპუბლიკის მცხოვრებნი, გვაქვიათ გადატაკებული, ეკონომიკურად ჩაძირული ხალხი, რომელსაც საარსებო მინიმუმის მოთხოვნაში უნდა ამოხსნადონ სული. ეს ოფიციალური სტატისტიკაა.

სიცოცხლის უფლებამართებულ ქვეყანას, მის ადამიანის უფლებებსა და ღირსებებს, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ორ მილიონამდე ადამიანი გაექცა თავისი მიწა-წყლიდან სიცოცხლის გადასარჩენად და ლუკმაპურის სამოვლელად. ჩვენ, დღითი მომადლებული მი-

წათმოქმედების ქვეყანა, გვაქვიათ ჯერ ნავთობით ევროპის მოსამარაგებელი ბაქო-ჯიჰანის ნავთობსადენების გასაცვან ტერიტორიად, ხოლო შემდეგ – ნატოს იარაღის საწყობად. მართალია, ოცი წელიწადია, ჩვენთან მიწათმოქმედება მიზანმიმართულად სახელმწიფოს მიერ ნადგურდება, მაგრამ სამაგიეროდ სამხედრო ინდუსტრია ყვავის, ხოლო ქართველი ჯარისკაცები დამპყვნილი ოჯახებიდან „სამშობლოს დასაცავად“ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მომნიჭებელ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს ეხმარებიან ფრაცსა და ავღანეთში! ხომ ხედავთ, როგორი კეთილშობილი ხელისუფლება გვაყავს?! იმისათვის, რომ ფრაცსა და ავღანეთში და, ალბათ, ასევე სირიაში, ალჟირსა და ირანში ადამიანის უფლებები იყოს დასული, საქართველოში ვაშენებთ სამხედრო ქალაქებს, სამხედრო აეროდრომებს, ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებს ბაქტერიოლოგიური იარაღის დასამზადებლად და ღმერთმა იცის, კიდევ რას. ეს უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, განთქმული თავისი კაცობრივობით, გვაქვიათ „სიკვიდილის ფაბრიკების“ ქვეყნად... ჩვენ არ ვიცით, ვინ აშენებს მათ. როგორც თქვენ სამართლიანად ბრძანებთ, „დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური დაკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს“... ცნობილია, რომ 2003

# რა იქნება ჩვენზე გულბიის პარლამენტში



წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის საზღაურად, მთელი ამ ბედნიერების მომნიჭებისთვის, რევოლუციების სპეციალისტად თვითწოდებულმა მსოფლიო ქვემოქმედმა, მ-მმა ჟორჯ სოროსმა საქართველოს ხელისუფლებისგან, პირველ რიგში, ოქროს საბაბოები მოითხოვა, ხოლო მეორე რიგში – საქართველოს შავიზღვისპირეთი. ჩვენმა პარტიზორმა და მეგობარმა ქვეყნებმა ახლა უნდაც მიაგნეს საქართველოში და მისი ათვისებას წარმატებით შედეგად.

თქვენ ბრძანებთ, რომ „ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე, მალე კი სირია და დასავლეთის სამხრეთი, რათა ჩამოავდოს ზომიერი ხელისუფლება და შეცვალოს ის ლამისტებით. შემდეგ კი ისლამისტური რეჟიმები სწრაფად გახდებიან ყველასთვის პრობლემა და „საპატიო საბაბოები“, რომელსაც „ტერორიზმთან ბრძოლა“ და „ისრაელის დაც-

ვა“ შევია, დავესხმით მათ თავს... ნუთუ ჩვენ ჩავიდინეთ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი იმისთვის, რომ შემდეგ გავგვემართოთ ჩვენი საომარი შეჭრები, უკანონო წამებები, დაპატიმრებები და უდანაშაულო მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა?!”

ბატონო ლორან ლუი! თქვენ დასვით მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის თავზარდამცემი კითხვა: ნუთუ ამერიკამ თავად მოუწყო თავისთვის 11 სექტემბრის ტერაქტი?, რომელიც, მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია. ადამიანის წარმოსახვა უძლეურია და ვეღარ აცნობიერებს ამხელა ცბიერებას პოლიტიკისას. კაცობრიობის წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა: გამოიყვანოს მსოფლიო ამ სატანური ხარხარის განზომილებიდან, ამხილოს და აკრძალოს სპეკულაცია ჰუმანიტარული იდეებით და გადაიყვანოს მსოფლიო ნორმალურ ადამიანურ აზროვნებაზე. მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? სად არის შესაძლებელი ინტერგაცია კაცობრიობის მორალური ენერჯის? გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მივიდა იქამდე, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს უნიკალურ შანსს აძლევს, უშუალო მონაწილეობა მიიღოს გლობალური განვითარების ახალი წესრიგის შემუშავებაში. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა გითვალისწინოს გაერომ, რომ ის ადამიანები, რომლებიც გამოთავსებულნი არ ექვემდებარებიან, საკუთარ ქვეყნებში, განსაკუთრებით პატარა და უჩინარ ქვეყნებში, ის ადამიანები, რომელთაც ძალი შესწევთ, ახალი წესრიგის შემუშავებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ, მონიტორინგზე არიან აყვანილი და სრულიად დაუცველი ფარული პოლიტიკური თავდასხმებისგან. ეს თავდასხმები, პროვოკაციები თუ შანტაჟები ხშირად ფიზიკურ მკვლელობაზე უარსიან...

ძვირფასო ბატონო ლორან ლუი! გმადლობთ თქვენი გაბედულებისა და ახალი, მართალი მსოფლიოს მხარდაჭერისთვის!

**დენიზა სუმბაძე,**  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა  
სამოგალოებრივი გაერთიანების – „თბილისის უნივერსიტეტის  
ასამბლეის“ პრეზიდენტი

**ჩანართი** მუშაობდა  
**ნიკო ხოჭარია და კახა შორიძე**



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ სააკაშვილს საქართველოში დაბრუნება აქვს განზრახული

ყოფილ პრეზიდენტს სურს, „დაეხმაროს თავის ხალხს“

მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ბრალი ედება ერთ-ბაშად სისხლის სამართლის კოდექსის ოთხი მუხლით, განაცხადა, რომ თავის მომავალს უკავშირებს საქართველოს და განზრახული აქვს, მალე დაბრუნდეს სამშობლოში. მისი თანამებრძოლები ოპოზიციიდან ადასტურებენ ასეთი გეგმების არსებობას, მიუთითებენ პოლიტიკურ არასტაბილურობაზე, რომელიც გაჩნდა მთავრობის გადადგომის შემდეგ. მაგრამ მმართველი კოალიციის წარმომადგენლები გვაფრთხილებენ, ექსპრეზიდენტს ჯერ მოუწევს, პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე და მხოლოდ შემდეგ იფიქროს პოლიტიკური კარიერის განახლებაზე.

განცხადებით, რომ მზადაა, დაბრუნდეს სამშობლოში მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ „რასაკვირველია, მე დაბრუნდები საქართველოში, რათა დავეხმარო ჩემ ხალხს, რომელსაც ჩემი კარიერა ეკუთვნის“, - აღნიშნა ექსპრეზიდენ-

ტმა აზერბაიჯანის ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ უკრაინის ხელმძღვანელობა სთავაზობდა მას მთავრობის ვიცე-პრემიერის პოსტს, მაგრამ მან უარი განაცხადა, ვინაიდან ამ



შემთხვევაში მას მოუწევდა მიეღო უკრაინის მოქალაქეობა და დაეკარგა საქართველოს მოქალაქეობა. „საქართველოს დიდი მომავალი აქვს, და მე ამ მომავალს ავადგავ ჩემს ხალხთან ერთად“, - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თანამებრძოლები ოპოზიციიდან დარწმუნებული არიან, რომ

ქვეყანაში მნიფდება „სიტუაცია ქვეყნის ხელისუფლების შეცვლისა და მიხეილ სააკაშვილის დაბრუნებისათვის“. ოპოზიციური პარტიის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ სერგო რატიანის აზრით, ამას მოწმობს უკანასკნელი მოვლენები, როდესაც მთავრობა რამდენიმე მინისტრმა დატოვა ერთბაშად, პრემიერ-მინისტრი კი იძულებული გახდა, მიემართა პარლამენტისთვის ნდობის ვოტუმისათვის.

„ჩვენ არ გამოვრიცხავთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს და, რასაკვირველია, ჩვენი პარტიის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი აქტიურად დაერთვება ამ პროცესებს“, - განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა რატიანმა. ამასთან ერთად, მისი აზრით, სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც აღძრულია ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ, მისი დაბრუნების მომენტისათვის „აქტუალობას დაკარგავენ“.

მაგრამ ხელისუფლებას ასე არ მიაჩნია. „სანამ იფიქრებდეს კარიერის განახლების შესახებ, სააკაშვილს მოუწევს პასუხი აგოს ჩადენილ დანაშაულებზე“, - დაარწმუნა ჩვენი მთავარი პარლამენტის წევრმა მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ ზაქარია ქუცნაშვილმა.

მაგრამ ხელისუფლებას ასე არ მიაჩნია. „სანამ იფიქრებდეს კარიერის განახლების შესახებ, სააკაშვილს მოუწევს პასუხი აგოს ჩადენილ დანაშაულებზე“, - დაარწმუნა ჩვენი მთავარი პარლამენტის წევრმა მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ ზაქარია ქუცნაშვილმა.



დედაამისი ზურგზე



ფილადელფიაში პოლიციური ქალაქობის წინააღმდეგ მარშის დროს შეტაკება მოხდა

აქციაზე ფილადელფიაში, რომელიც ვაშინგტონიდან 190 კილომეტრზე, 600-დან 1000 კაცამდე გამოვიდა. აქციის კულმინაცია გახდა პროტესტის მომხრეთა მცდელობა, გადაეკეტათ ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი ტრასა, მაგრამ ამას სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლებმა შეუშალეს ხელი.

კანადის ბელაბაბაში ბრიტანეთის არჩევნებში ერთი კვირით ადრე მოიგო

მაყურებელთა 44 პროცენტმა უპირატესობა მოქმედ პრემიერ კემერონს მიანიჭა. იმის შესახებ, რომ ყველაზე უკეთესად გამოვიდა მისი ძირითადი კონკურენტი ედ მილიბენდი, სოციოლოგებს აცნობა გამოკითხულთა 38 პროცენტმა. საყოველთაო არჩევნები ბრიტანეთში, რომლებსაც მეთვალყურეები ყველაზე განუჭვრეტელს უწოდებენ უკანასკნელი წლების განმავლობაში, 7 მაისს გაიმართება.




ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მხარი დაუჭირა ბიუჯეტს, რომელიც სამხედრო ხარჯებს 40 მილიარდი დოლარით ზრდის



პრეზიდენტი ობამა ადრე გვპირდებოდა, რომ ვეტოს დაადებდა პროექტს დაბალანსებული ბიუჯეტისა, რომელიც მისი ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას ემუქრებოდა. ასე რომ, კენჭისყრა გახდა უსსსის დემოკრატიული ადმინისტრაციის მორიგ დაპირისპირებას კონგრესთან.

ზონდი „მსინჯარი“ მარსის ზედაპირზე შეიჭრა, შექმნა ახალი კრატერი

„მსინჯარის“ მისიის მთავარი მიზნება გახდა ყინულის აღმოჩენა მზესთან ყველაზე ახლომყოფი პლანეტის ზოგიერთ კრატერში. ნასაში აპარატის 10-წლიან მუშაობას უწოდებენ „ძალიან წარმატებულს“.



„გამორიცხული არ არის, რუსეთი ამ შეთანხმებას სააკაშვილის ხელით მოქმედებს“

მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ჯავახეთში სეპარატისტების შეიარაღება მიმდინარეობს. ექსპრეზიდენტი გამოცემა „vesti.az“-თან საუბრისას აცხადებს, რომ არსებობს რამდენიმე სეპარატისტული ჯგუფი, რომლებიც ცხიდან გამოუშვეს და მათ აქტიურად ამარაგებენ იარაღით. სააკაშვილი აცხადებს, რომ ისინი დღეს საფრთხეს უქმნიან საქართველოში სტაბილურობას და მომავალშიც ასე იქნება.

ამავე ინტერვიუში ყოფილი პრეზიდენტი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების შესახებაც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ჩვენ მიუფასლოდით იმ დროს, როდესაც საქართველოში შესაძლოა, მინისტრი, პრემიერ-მინისტრი ან ქვეყნის ლიდერი გახდეს აზერბაიჯანელი.

რა კონკრეტული გზავნილია სააკაშვილის მხრიდან და რატომ აღვივებს ეროვნულ შულს? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ რამაზ სანჯარაძის ესაუბრა.

— რა დატვირთვა აქვს სააკაშვილის გზავნილი, თითქოს ჯავახეთში სეპარატისტების შეიარაღება მიმდინარეობს?

— ცხადია, რაც უნდა — ჯავახეთში შექმნილია პრობლემები, მაგრამ საქართველოს ყველა ხელისუფლება ცდილობდა, რომ ამ პრობლემებისთვის უხმაუროდ მოეველო და რატომ? — იმიტომ, რომ ფაქტი თემაა. როდესაც საქმე ეხება ეთნიკური უმცირესობის თემას, ხელისუფლებამ უნდა სცადოს პრობლემის ზედმეტი აფიშირების გარეშე მოგვარება. ფაქტია, რომ ნაციონალებმა ერთი ეთნიკური კონფლიქტის გამწვავება სცადეს მეჩეთთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ახლა ცდილობენ მეორე ეთნიკურ კონფლიქტს მოკიდონ ხელი. ანუ, მეორე ეთნიკური კონფლიქტი და დაპირისპირება გააჩინონ. როგორც ჩანს, ნაციონალები სააკაშვილის მითითებით მოქმედენ პრინციპით — თუკი ქვეყანა ცეცხლის ალში გაეხვევა, კარგი იქნება.

— თუკი ჯავახეთში მოხდება, ვითარება გართულდება, ამით სააკაშვილმა რა სარგებელი შეიძლება მიიღოს? — რატომღაც ჰგონიათ, რომ ეს მათ შანსებს გაზრდის. მისი მიზანია, ვითარების გართულება და ამიტომაც არის ეს განცხადება გაკეთებული და თუკი, ამ განცხადებამ რამე მწვავე პროცესი გააჩინა, ალბათ, საქართველოს მოსახლეობის აგრესია, უპირველეს

ყოვლისა, სააკაშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

— ის ამბობს, რომ არსებობს რამდენიმე სეპარატისტული ჯგუფი, რომლებიც ცხიდან გამოუშვეს და მათ აქტიურად ამარაგებენ იარაღით. საფარად, ის საუბრობს ჩახალიანზე. ამგვარი განცხადებით ქმნის ქვეყნის არასტაბილურობის განცდას და ხელს უწყობს ეროვნულ ნიადაგზე შუღლის გაღვივებას?

— რასაკვირველია და მეორე — ვისგან ხდება ამ ჯგუფის შეიარაღება? ალბათ, გულისხმობს ხელისუფლებას, რადგან ხელისუფლებამ გამოუშვა. როგორც ჩანს, ელემენტარულად ჭკუის დამრიგებელი არავინ იყო გარკვეულ, რომ ეკითხათ, რაში აწყობს ხელისუფლებას კონფლიქტურობის მუხტის გაზრდა თავისივე სიერცეში? მაგრამ ლოგიკას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ რაღაცა ითქვას დაპირისპირების შესახებ. გამორიცხული არ არის, რომ შემდეგ ხელოვნურად გააღვივონ თვითონ ნაციონალებმა ეს კონფლიქტი და რაც მთავარია, ნაციონალები ამაში მარტო არ არიან. ეროვნული კონფლიქტები ახსენით და ვიცით, რომ ეროვნული კონფლიქტების თემით დახმარება რუსეთის ცნობილი სტრატეგიაა და ეროვნული კონფლიქტების შედეგია, რომ ჩვენ ტერიტორიული პრობლემა დაგვიდგა.

ამიტომაც, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთი ამ შემთხვევაშიც სააკაშვილის ხელით მოქმედებდეს, ისევე როგორც 2008 წელს, ახლაც სააკაშვილის ეს მოქმედება რუსეთის ნისქვილზე ასხმას წყალს. მითუმეტეს, რომ ამ მიმართულებით ჯავახეთის რეგიონი ძალიან საფრთხილო თემაა. ერთობ საინტერესოა, სად გადის ზღვარი უკადრისი საქციელისა, რომელსაც არ იკადრებს სააკაშვილი? ამიტომ, ხელისუფლების მხრიდან ოპერატიულად უნდა მოხდეს შესაძლო დაძაბულობის პრევენცია, იგივე საერთაშორისო მიმართულებით. უნდა ამუშავდეს დიპლომატიური არხები იმიტომ, რომ საქართველოს პოზიცია ცხადი იყოს ბაქოსთვის.

— ამ ბარდებების შემდეგ ელოდებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვას?

— აზერბაიჯანი საკმაოდ სალი პოლიტიკის ქვეყანაა და წესით, ამ ტიპის პროვოკაციას არ უნდა წამოეგოს. რაც შეეხება აზერბაიჯანთან სათქმელ სიტყვას, საქართველოს ხელისუფლებას, ისევე როგორც ადრე, არც დღეს არა აქვს ეთნიკური უმცირესობის მიმართ ის დამოკიდებულება, რომ რაღაცა ეშელონებში მიუღებელია მათი დანიშვნა. ჩვენ გვყავს ძალიან წარმატებული ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგენკო, რომელიც ყველა გამოკითხვით ყველაზე პოპულარული მინისტრია.

თამარ ძარჩავა







დღეობა

სამართლებლო, ბიზნესი, მოგაგალი მინისტრი

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ღარიბაშვილმა საპრემიერო კაბინეტის საკმეო მინისტრად ტარიელ ხეჩიკაშვილი დაასახელა. ხეჩიკაშვილმა ლევან ყიფიანი შეცვალა, რომელმაც პრემიერ-მინისტრს გადადგომის თხოვნით რამდენიმე დღის წინათ მიმართა. ყიფიანი მეშვიდე იყო, ვინც მინისტრთა კაბინეტი დატოვა, შესაბამისად, მთავრობას პარლამენტისგან ხელახალი ნდობის გამოცხადება დასჭირდა. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ტარიელ ხეჩიკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ ქართული სპორტის გაძლიერებას შეუწყოს ხელი. „რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, მინისტრის თანამდებობაზე წარმოგიდგენთ ბატონ ტარიელ ხეჩიკაშვილს. ბატონი ტარიელი გახლავთ პროფესიით სამართალმცოდნე, დღემდე იყო ერთ-



ერთი უმსხვილესი და ძალიან წარმატებული საავტომობილო პოლიციის „იბერია ბიზნეს-გუფის“ პრეზიდენტი, დამფუძნებელი და უმაღლეს ლიგაში გადასული საფეხბურთო კლუბის „საბურთალოს“ მფლობელი. მისი ბიოგრაფიის დიდი ნაწილი სწორედ სპორტულ სამყაროს უკავშირდებოდა. სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა სპორტული მუზეუმი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში. სწორედ მან ალადაგინა ეს მუზეუმი, განადგურების პირას მყოფი ექსპონატები და ბატონი ტარიელი წლების განმავლობაში იყო ქართული სპორტის ქომაგი. მას ძალიან დიდი ქველმოქმედება აქვს გაწეული სპორტის მიმართულ ბით. იგი არის ძლიერი მწვერული და ფეხბურთის განვითარების სამთავრობო კომისიის წევრიც. ამავე დროს 7 შვილის მამაა. ვუსურვებ წარმატებებს და მჯერა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს, რომ ქართული სპორტის გაძლიერებას და ახალგაზრდობის მაქსიმალურ მხარდაჭერას შეუწყოს ხელი“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კობა კობახიძე

სელსურთი

დავინაურდით, მებრძო...



საქართველოს სელსურთელთა ნაკრებმა მაცურებელით თითქმის გავესებულ ქუთაისის სპორტის სასახლეში უმძიმეს თამაშში 17:16 დაამარცხა ლუქსემბურგი და ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში დანინაურდა.

ხვალ ლუქსემბურგს სტუმრად ვხვდებით, ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა კი გაირკვევა ივნისში, როდესაც ორჯერ იტალიაში გაემგზავნებიან და ლუქსემბურგს პირველი ეტაპის სამი ჯგუფის სამი გამარჯვებული პლეიოფში გავა და გაისად გაზაფხულზე ეთამაშება 2016 წლის ევროშესარჩევის სამ უარეს გუნდს, ამ სამი წყვილის მოგებული კი მიიღებს ძირითადი შესარჩევი ეტაპის საზღვრებს. ასეთი რთული გზა ევროპის ჩემპიონატამდე.

ჩვენს გუნდს სერიოზული პრობლემები ჰქონდა - გვაკლდა სამი ძირითადი უკანახაზელი - მსხვილიძე, რუსია და დათუკაშვილი, მაგრამ როდესაც ლიდერები არ არიან, თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ შემცვლელებს. კარგად ითამაშა ზურაბ სიმონია, რომელმაც მისთვის უხერხული მარჯვენა შუამარბის პოზიციიდან სულ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ მოიპოვა შვიდმეტრიანი და რამდენიმე შედეგანი პასიც შეასრულა. ნაკრებში პირველი, მაგრამ მნიშვნელოვანი და გამარჯვების მომტანი გოლი შეაგდო ლექსო წითელიშვილმა.

- საქართველო 17:16 (11:7) ლუქსემბურგი
საქართველო: თევზაძე - ჭანტურია (7), ჩიქოვანი (4), გოგალაძე (2), ტალახაძე (1), მაისურაძე (1), სიმონია (1), წითელიშვილი (1), გამზარდია, გვაზავა, ბეჟანიშვილი (ტორონჯაძე, აბრამიშვილი, გრიშკაშვილი, დათუკაშვილი).
მწვრთნელი: ირაკლი კვეციანი.

ვიტალი ჯაფარიძე

დაფასება

ქუთაისის სპორტის სასახლეში უმძიმეს თამაშში

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონს ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით ლეგენდარული ქართველი თავდამსხმელის რამაზ შენგელიას სახელი მიენიჭა.

„მსურს, ყველას მივულოცო ეს საამაყო გადაწყვეტილება. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ ნაბიჯს წლების შემდეგ უფრო დავაფასებთ“, - განაცხადა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალმა.

რამაზ შენგელია 1957 წლის 1 აპრილს დაიბადა ქუთაისში და ფეხბურთელის კარიერაც იქვე დაიწყო. ის 1971-1976 წლებში ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა, 1977-1988 წლებში კი თბილისის „დინამოს“ ფორვარდი გახლდათ.

შენგელია ერთადერთი ქართველია რომელმაც ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული - 1978 და 1981 წლებში! იყო სსრკ ჩემპიონი (1978) და თასის მფლობელი (1979), 1981 წელს კი უეფას თასების მფლობელთა თასი მოიგო! 1981-1982 წლების სეზონში რამაზ შენგელია თასების მფლობელთა თასის გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი გახდა 6 გოლით.


გამოჩენილი ქართველი თავდამსხმელი 2012 წლის 21 ივნისს თბილისში გულის შეტევით გარდაიცვალა.

გიორგი შოთაძე



საუკუნის კავიტანი

სახსოვრად - მოგაგალი თაობებს



ალექსანდრე ჩივაძე ის კაცია, ძვირფასი მეგობრის - გივი ნოდის მოულოდნელი გარდაცვალების გამო თავისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილე-სადმი მიძღვნილი ყველა საზეიმო ღონისძიება რომ გააუქმა. დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ფაქტია. მას შემდეგ 10 წელი მიილია...

8 აპრილს თბილისის „დინამოსა“ და საკავშირო ნაკრების ლეგენდარულ კაპიტანს 60 წელი შეუსრულდა. ქართულ ფეხბურთზე ზრუნვაში გაჭაღარავებულ „გაგრილოვიჩს“

საჩუქრებით ვინ გააკვირვებდა, მაგრამ, ვფიქრობთ, თანამედროვეობის მნიშვნელოვან მხარდამხმელის ბატონ დემიკო ლოლაძის მორიგი ნობათით მინც განსაკუთრებით გაიხარებდა. „ნაძალადევი გავიზარდე. მეოთხე კლასიდან უკვე 35-ე საფეხბურთო სკოლაში ვსწავლობდი. ფრიადოსანი ვიყავი. ვანო შუდრა გახლდათ ფეხბურთში ჩემი მასწავლებელი და ისეთი პიროვნება იყო, დღიურებს გვიმომეზობდა. ბიჭი იყავი და ცუდი ნიშანი მიგელო. მოკლედ, თუ ფეხბურთის თამაში გინდოდა, სკოლაშიც კარგად უნდა გესწავლა. 12 წლისა ვოვა ელოშვილთან მოვხვდი. არაჩვეულებრივი მწვრთნე-



ბიბა პლატონიშვილი

ლი გახლდათ. მისი გუნდი ჭაბუკთა პირველობაზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. აქ თამაშობდნენ დათო გოგია, ფირუზ კანთელაძე, მაჩაიძევი, ვახტანგ კოპალეიშვილი. მერე ვოვა გუცაევიც გადმოვიდა, მეც...“ - ვკითხულობთ ბატონი საშას 60 წლის-თავთან დაკავშირებით სფუ პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ხელშეწყობით დაბეჭდილი საკმაოდ სქელტანიანი ნიგნის ფურცლებზე. აქედან მოყოლებული, დაიწყო და დანაყო...

საამაყო მამულიშვილის ბიოგრაფიითა და სპორტული კარიერით დაინტერესებული საზოგადოება, დარწმუნებული ვარ, სულმოუთქმელად წაიკითხავს ფეხბურთის სპეციალისტების, თანაგუნდელების, მწვრთნების, პოეტების, ჟურნალისტების, მეგობრებისა და გულშემატყვირების წერილებსა და ლექსებს დიუსელდორფის ერთ-ერთ გმირზე, რომელიც ავტორ-შემდგენელს ანბანის მიხედვით დაუღაგებია. ტრადიციისამებრ, კრებულს უამრავი ფოტო-ლუსტრაცია ამშვენებს, მათ შორის - უნიკალურებიც.

მოკლედ, მიდევით, მოდევით, შეაწუხეთ ვინმე, ხელში ჩაიგდეთ ეს სამაგიდო გამოცემა და კიდევ ერთხელ დატკბით უახლოესი წარსულის გახსენებით.

ინტერნეტიდან

ბარბარა პერას უიქაუბი და დარღობი

პერას მინაზე, სადაც ერთ დროს ინკების ცივილიზაცია ფეთქავდა და ტანმოსატულ ინდიელთა შეკვივება ცას კვეთდა, დღეს სულ სხვა ხალხი, ლათინოსები ცხოვრობენ. მაგრამ, თუკი რაიმეთი შეიძლება გამართლდეს ინკების ცივილიზაციის აღსასრული, ეს პერული მოდელი, ულამაზესი ბარბარა პერაა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბვლელ ლამაზმანად დაასახელეს.

ბარბარა ამჟამად ძირითადად პარიზსა და მილანში მოღვაწეობს და ევროპის სამოდელო სახლებში ისე თავისუფლად მიდი-მოდის, როგორც დიდი ხნის რძალი მამამთილის ოთახში. რაც შეეხება ბარბარა პერას გატაცებას, ეს, რა თქმა უნდა, ფეხბურთი გახლავთ.

ბარბარა პერას საფეხბურთო ნაკრების ქომაგია და ამ გუნდის მომავლისა დიდად ეიმედება. იგი წყველ-კრულვასა და კუპრს უზღავნის ყველას, ვინც პერულ ფეხბურთი დღევანდელ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა და ირწმუნება, რომ არა ჩვენში არსებული მანკიერებები, ბევრად უფრო კარგი ნაკრები გვეყოლებოდაო. რა ნაცნობი სიტყვებია...



როსტომა რაჭველიშვილი







